სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 13 სექტემბერი 2006 №211 (2833) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოასწარით ჩემპიონობა, ვითა ბრუნდება

თემურ დათიკაშვილი ისტორიის დატრიალებას იწყებს

დღეს ფინეთი — საქართველოა და კალათბურთის ქომაგების ყურადღება ჰელსინკისკენ იქნება მიპყრობილი, თუმცა სანაკრებო საქმეების პარალელურად თბილისში ისეთი ამბავი ხდება, უთუოდ და სასიამოვნოდ რომ ააფორიაქებს გულშემატკივრებს — თბილისის „ვითა“, საქართველოს ერთდროს მარადიული ჩემპიონი ახლიდან იბადება და კვლავაც მწვერვალების დაპყრობას აპირებს. ძველი „ვითას“ შემქმნელი და სულისჩამდგმელი თემურ დათიკაშვილი ახალ გუნდს აკეთებს და ყველას აფრთხილებს — ვისაც ჩემპიონობა სურს, ამ სეზონში მოასწროს, მერე „ვითას“ წინ ვეღარავინ დაუდგებაო.

დიდი და პატარა დღეს გამოჩნდება

თასის ჯგუფური ეტაპის ანონსი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იტალიაში გაუხდელ ინტერს პორტუგალიაში გასახდეს

AFP ლოსანინიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

დიდი და პატარა დღეს გამოჩნდება

ფავორიტებმა ფავორიტები მეორე ტურამდე აიცილეს

გადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს თასის მოქმედი მფლობელი თბილისის „ამერია“

A ჯგუფი

თბილისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

ამერი თბილისი — სპარტაკი თბილისი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია; ხ. გაგნიძე

ზესტაფონი. 13 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — კახეთი თელავი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; კ. გაბრიაძე, ი. შენგელია; გ. დოგრაშვილი

B ჯგუფი

მცხეთა. 13 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია თბილისი — მესხეთი ახალციხე

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ზ. ჯვარიძე, კ. ბერაძე; ო. მოლოდინაშვილი

ქუთაისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. ტორპედო

ტორპედო ქუთაისი — ბორჯომი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; მ. ნაკაიძე, ე. ნარმანია; ჯ. ბუიშვილი

C ჯგუფი

თბილისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

დინამო თბილისი — ნორჩი დინამოელი თბილისი

მსაჯები: ა. ონნიკაშვილი; ლ. მიქელაძე, ა. კოკაია; ლ. კვარაცხელია

რუსთავი. 13 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი

ოლიმპი რუსთავი — ჩიხურა საჩხერე

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ბერულავა; ვ. ელისაბედაშვილი

D ჯგუფი

ბოლნისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი ბოლნისი — მეშაძრე აგარა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ურუშაძე, ს. სპიცინი; ზვ. ასკაროღლი

თბილისი. 13 სექტემბერი. 16 საათი. შევარდენი

მერანი თბილისი — ბათუმი

მსაჯები: ლ. სილაგავა; მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია; ვ. გუმბერიძე

დღეს, ჩემპიონთა ლიგისა არ იყოს, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპიც იწყება.

ისე მოხდა, რომ პირველ ტურში გამორჩეული წყვილი არ ჩანს, უმეტესად იოლად გამოსაცნობი მატჩებია და მეტიც, არ გაგვიკვირდება, რვავე თამაში მასპინძლებმა რომ მოიგონ.

თასის მოქმედი მფლობელი და ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „ამერი“ თანაქალაქელ „სპარტაკს“ მასპინძლობს. დრო იყო, ეს გუნდები პირველ ლიგაში ეომებოდნენ ერთმანეთს უმაღლესში გადასასვლელად და მაშინ მეტ-ნაკლებად ტოლ-სწორი ძალისა იყვნენ, ახლა კი...

ამავე ჯგუფში თემურ მახარაძის „ზესტაფონი“, ალბათ, ერთი ამოსუნთქვით მოუგებს უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ თელავის „კახეთს“.

B ჯგუფში საინტერესო ამბებს ველით ქუთაისიდან, სადაც „ტორპედო“ გაარგენტინელებულ „ბორჯომს“ დაუხვდება. ჩემპიონატში ქუთათურები კურორტელებზე გაცილებით კარგად გამოიყურებიან, თუმცა ამ არგენტინელებსაც რას გაუგებს კაცი... ჯგუფის მეორე თამაში კი მცხეთაშია, „ვიტ ჯორჯია“ პირველლიგელ „მესხეთს“ ხვდება.

დღის ყველაზე საინტერესო მატჩი ალბათ რუსთავშია — ჩემპიონატში მხნედ მოთამაშე „ოლიმპი“ ზემოიმერულ „ჩიხურას“ მიიღებს, რომელსაც სამ საუმაღლესლიგო გასვლით შეხვედრაში გოლიც არ გაუტანია. ამავე ჯგუფში კი „დინამო“ პატარა „დინამოს“, „ნორჩ დინამოელს“ ხვდება და ვინ იქნება გამარჯვებულიც, დიდი მარჩიელობა არ სჭირდება.

აგარის „მეშაქრე“ ბოლნისში ხვდება ჩემპიონ „სიონს“ და დიდი ჯაფა დაადგება. ქვემოქართლელები ჩემპიონატში ჭაკობენ, მაგრამ პირველლიგელთან წაფორხილება ნამეტანი იქნება...

საინტერესო თამაში უნდა გამოდგეს „მერანსა“ და „ბათუმს“ შორის, თანაბარი წყვილია და შანსებიც თანაბრად ფასდება. საერთოდაც, D ჯგუფი შედარებით ძნელად პროგნოზირებადი ჩანს...

ილია ნანოგაშვილი

მაინდლმა მათებიჭს გერმანული ჩოხა ჩააცვა

გერმანიის მეორებუნდესლიგელმა „მიუნხენ 1860“-მა თავისი სპონსორის, ფირმა „მაინდლის“ ნაწარმის პრეზენტაცია მოაწყო.

მიუნხენური კლუბის პრეზიდენტმა ჰაინც ლენერმა, მენეჯერმა შტეფან როიტერმა, მწვრთნელმა ვალტერ შახნერმა და ფეხბურთელებმა, რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, ჩვენი მათე ღვინიანიძეც იყო, ძველგერმანულად სტილიზებული „მაინდლის“ ტანსაცმელი მოირგეს და ისე იპოზიორეს კამერების წინ.

შეგახსენებთ, რომ „მიუნხენ 1860“ სამ ტურში აღებული შვიდი ქულით მესამე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და ბუნდესლიგაში აღზევების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლება. მათე კი მიუნხენში გადაბარგების პირველივე დღიდან „ლომების“ შეუცვალელი ფეხბურთელია.

ძახა შალამბერიძე

ინგლისი

ჩემპიონატი. VII ტური

ბარნლი 4:2 ბარნსლი
იფსვიჩი 2:1 ძოვენთრი
ლესტერი 0:1 ჰალი
ლუთონი 1:1 კოლჩესტერი
პლიმუთი 3:3 კარდიფი
პრესტონი 1:0 ვესტ ბრომვიჩი
უენსდი 1:1 სტოკი
საუთენდი 3:3 ნორვიჩი
ვულვზი 0:1 დერბი
კრ. პალასი 0:2 საუთჰემპტონი
ძუინზ პარკი 0:2 ბირმინგემი

I ლიგა. VIII ტური

სკანთორპი 3:0 პორტ ვეილი
ბლეკპული 1:0 ჩესტერფილდი
ბრედფორდი 1:1 კარლაილი
ბრენტფორდი 0:2 სუონსი
ბრაიტონი 2:2 ბორნმუთი
ბრისტოლი 2:1 ლეიტონი
ძრიუ 3:1 ჩელტენჰემი
ჯილინგემი 2:1 მილუოლი
ჰადერსფილდი 0:0 დონკასტერი
ნორთჰემპტონი 1:1 იოვილი
ნოტინგემი 0:2 ოლდემი
როტერჰემი 2:1 ტრანმერი

II ლიგა. VIII ტური

დარლინგტონი 1:0 ბერი
ბარნეტი 3:3 ბოსტონი
ჩესტერი 0:0 ნოტსი
ჰარტლპული 2:0 მენსფილდი
ჰერეფორდი 1:2 უიკომბი
ლინკოლნი 2:1 მაკლსფილდი
როჩდეილი 1:0 გრიმსბი
სტოკპორტი 0:3 შრიუსბერი
სუინდონი 2:1 დონსი
უოლსოლი 5:0 პიტერბრო

კონფერენსლიგა. VIII ტური

ალდერშოტი 4:0 სტივენეიჯი
ალტრინჩემი 1:0 ჰალიფაქსი
კემბრიჯი 1:1 კიდერმინსტერი
დაგენემი 2:1 ძროული
გრეივსენდი 2:0 გრეისი
ოქსფორდი 1:0 ექსეტერი
სენტ ალბანსი 0:1 უოქინგი
სტაფორდი 1:1 ბარტონი
ტემუორთი 1:4 რაშდენი
ვეიმუთი 1:0 ფორესტ გრინი
იორკი 2:3 მორეკემბი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ვილჰელმშავენი 3:3 ზტ. პაული

შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური

ჰეკენი 1:4 გიოტებორგი
ჰელსინგბორგი 3:1 მალმიო

შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

ძსამაძსი 1:1 ვადუცი

შოტლანდია

ჩელენჯ ქაფი. მეოთხედფინალი

ალბიონი 3:3დ.დ.(პენ.5:3, 3:3) *არბროთი*
კლაიდი 1:0 *ეარი*
მორტონი 3:2 *სენტ ჯონსტონი*
როსი 3:2დ.დ.(2:2) *გრეტნა*

ირლანდია

პრემიერდივიზიონი. გადადებული მატჩები

სლიგო 0:3 კორკი
დერი — დროჰედა *გადაიდო*

სარბიელელები ვულოცავთ
ბაჩო სვანიძეს და ლალი კუჭუხიძეს
შეუღლებას.
ახალშექმნილ ოჯახს ბედნიერებას,
ჯანმრთელობას და ბევრ შვილს ვუსურვებთ!



ბერლინური სიმპოზიუმი

მწვრთნელებმა მსოფლიოს გერმანია გაურჩიეს

11-12 სექტემბერს ბერლინმა უმასპინძლა ფიფას ორდღიან სიმპოზიუმს, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელების გარდა ევროპულ ნაკრებთა თავკაცებიც მონაწილეობდნენ. ცხადია, ბერლინურ თავყრილობაზე მიწვეული გახლდათ ჩვენი ეროვნული გუნდის გერმანელი დამრიგებელი კლაუს ტოპმიოლერიც.

სიმპოზიუმში, რომელიც გერმანია 2006-ს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელები — ოტო რეჰაგელი, ერიხ რუტემიოლერი, დიტერ აილტსი, იოახიმ ლიოვი, ჰორსტ ხრუბეში, კარლოს დუნგა, ლუის ფელიპე სკოლარი, რობერტო დონადონი, რაიმონ დომენეკი, მათიას ზამერი, კარლოს ალბერტო პარეირა, ხოსე პეკერმანი, მარჩელო ლიპი.

სიმპოზიუმი ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გახსნა: „ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა და იმედი მაქვს, ძალიან წარმატებულიც“.

მწვრთნელებმა და საფეხბურთო მოხელეებმა დეტალურად განიხილეს გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატი, წვრილად გაარჩიეს საფეხბურთო სიახლეები და ილაპარაკეს პერსპექტივებზე.

„ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ სიმპოზიუმზე ბევრი საინტერესო რამ ითქვა, რაც ფეხბურთს დიდ სარგებელს მოუტანს“ — განაცხადა ფიფას ტექნიკური კომიტეტის ხელმძღვანელმა ჰოლგერ ოსიეკმა.

კმაყოფილი დარჩა უეფას თავკაცი ლენარტ იუჰანსონიც, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი თავყრილობები მომავალშიც ხშირად გაიმართება და ეს ყველაფერი ფეხბურთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენად შეაფასა.

ბერლინური სიმპოზიუმი საზეიმო ვახშმით დასრულდა...

კახა შალამბერიძე

უფროსი ტოპის უმცროსი ნაკრები

აზერბაიჯანული რეპეტიცია ელიტ-რაუნდამდე

გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, რომ 19 და 21 სექტემბერს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები აზერბაიჯანთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ოქტომბრის დასაწყისში კი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეოთხე ჯგუფში ითამაშებს ჩრდილოეთ ირლანდიის, რუმინეთის და ბელგიის ნაკრებებთან ერთად.

ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა გუშინ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც აზერბაიჯანის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრისთვის მოემზადებიან.

ნაკრებში არაა მიწვეული ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ მყოფი მეკარე რევაზ თევდორაძე — ამხანაგური შეხვედრებში ჰაინც ტოპმიოლერი თემურ კაკალაძეს და რონ კვასხვაძეს გამოცდის, რის შემდეგაც დაასახელებს მეორე მეკარეს.

სგფგ-ის პრესსამსახური

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ 18 სექტემბერს დილით შეიკრიბება, საღამოს კი ბაქოში გაფრინდება.

ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშებისთვის ამ შემადგენლობას კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაემატება და ნაკრები მზადებას 25 მოთამაშით გააგრძელებს.

30 სექტემბერს, გამთენიისას, ნაკრები რუმინეთში გაფრინდება, ხოლო 4 ოქტომბერს პირველ შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან. 6-ში რუმინეთს გაეჯიბრება, 9 ოქტომბერს კი ბელგიას.

მეკარეები

თემურ კაკალაძე (ბათუმი, 1988), რონ კვასხვაძე (ზესტაფონი, 1989)

მცველები

დავით მჭედლიშვილი (ამერი, 1988), გიორგი გავაშელიშვილი (ზესტაფონი, 1989), ზურაბ გვაძაბია (ამერი, 1988), გულვერდ თომაშვილი (დინამო, 1988), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი, 1988), გიორგი კვანტალიანი (გაგრა, 1989), გიორგი ელბაქიძე (ამერი, 1988), გიორგი ჭედია (ტორპედო, 1988)

ნახევარმცველები

მირზა ბაკალავა (ზესტაფონი, 1988), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი, 1988), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი, 1989), ზურაბ მაილაშვილი (მერანი, 1988), ნიკა კვასხვაძე (ზესტაფონი, 1988), თამაზ ჩარგეიშვილი (დინამო, 1989), გიორგი ბაბულაიძე (გაგრა, 1989)

თავდამსხმელები

რატი წინამძღვრიშვილი (ამერი, 1988), ბესიკ ჩიმაკიძე (ამერი, 1988), ვახტანგ კვარაცხელია (ოლიმპი, 1988), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი, 1988)

თქვენი ინტერვიუ

მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ხმა სამარიდან: მკლავენ!

ბრანკო თეთრაძეს შავს აბრალებს

„ომარ თეთრაძე პისტოლეტით გამომეკიდა და მოკვლით დამემუქრა. კიდევ კარგი, მილიცია დროულად მოვიდა. ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია“ — ეს „კრილიას“ კამერუნელი ლეგიონერის, სერჟ ბრანკოს სიტყვებია, რომელიც მან გუშინ ლამის ყველა რუსულ სპორტულ სააგენტოსა თუ გამოცემას უთხრა.

დიახ, ლაპარაკია ომარ თეთრაძეზე — საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ კაცზე, რომელიც „კრილიას“ მოთამაშე-მწვრთნელია.

მაშ ასე, მივყვეთ თავიდან, რას ჩივის ბრანკო...

„შაბათს „მოსკვასთან“ თამაშის წინ ორი ვარჯიში გვქონდა. პირველის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა მითხრა, ითამაშებო. ერთ საათში თეორიული მეცადინეობა უნდა დაწყებულიყო. ბაზაზე ჩემს ოთახში ჩამეძინა და დავაგვიანე. სხვა ფეხბურთელებიც ხშირად აგვიანებენ და ეს ფულადი ჯარიმით მთავრდება ხოლმე. ახლა კი, გაჯიევი მოდის და მეუბნება, არ ითამაშებო. მიზეზად თქვა, ჩემმა თანაშემწე თეთრაძემ მითხრა, თეორია გააცდინაო. მე ბოდიში მოვიხადე და ვთქვი, ჯარიმას გადავიხდი, ოღონდ მთამაშეთ-მეთქი. გაჯიევმა თქვა, მე ვარ მთავარი მწვრთნელი და მე უნდა გადავწყვიტო, ვის ვათამაშებ და ვის არაო. მყის სამი მილიციელი გამოიძახა და სტადიონიდან გამათრიეს. მიბრუნება მოვინდომე, მაგრამ არ შემიშვეს. რას ვიზამდი, ვიყიდე ბილეთი და ფანების სექტორში დავჯექი.

...თამაშის შემდეგ ბაზაზე მივედი. ვსადილობდი, როცა გაჯიევი შემოვიდა და ისეთი სიტყვებით მლანძღა, ვერ გავიმეორებ. ამ დროს თეთრაძეც შემოვარდა, სკამი აიღო და უნდა დაერტყა, მაგრამ ვერ მოასწრო, ჩხუბი ატყდა, გაჯიევი კი მშვიდად გვიყურებდა. ძლივს გაგვაშველეს.

...ქუჩაში გამოვედი, მანქანაში უნდა ჩავმჯდარიყავი. იქვე „კრილიას“ სპორტული და გენერალური დირექტორები იდგნენ და მათ ვუთხარი მომხდარზე. ამ დროს კი გაჯიევი და თეთრაძე გამოიქცნენ ჩემკენ, ომარი ეგრევე მუშტებით მომვარდა, სპორტული დირექტორი ძლივს აკავებდა. თეთრაძე თავის ოთახში მიბრუნდა და იქიდან პისტოლეტით გამოიქცა, თან მლანძღავდა და მემუქრებოდა, მოგკლავო. მილიცია დროულად მოვიდა და სიტუაცია განმუხტა. გენერალურმა დირექტორმა მითხრა, ახლა სახლში წადი და მოგვიანებით ყველაფერი დალაგდებაო.

...ორი დღეა, სახლში ვარ და ვერსად გავდივარ, ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია. მეუღლე სასწრაფოდ მთხოვს გერმანიაში ან ინგლისში გამგზავრებას. ჩვენ ოთხი შვილი გვყავს, ბიჭი ახლახან შემეძინა. აგენტს დავურეკე, რაღაც უნდა მიშველო-მეთქი. თუ არა და, მოსკოვში საფრანგეთის საელჩოში მივალ, მე ხომ საფრანგეთის მოქალაქე ვარ და უნდა დამიცვან“.

ვერაფერს იტყვი, მძაფრი სიუჟეტია. ომარ თეთრაძე კი ბრანკოს მონაყოლს ბოდვას უწოდებს, არავითარი პისტოლეტი ხელში არ მჭერიაო...

„რაც მართალია, მართალია, სკამით მართლაც მივეჭერი. რატომ? ბრანკო უშვერი სიტყვებით აგინებდა გაჯიევს. ჯერჯერობით კომენტარებს მოვერიდები. პირველად ბრანკოსგან მინდა მოვისმინო, რას იტყვის. რამდენი წელია, ვთამაშობ და მისნაირი უდისციპლინო და უზრდელი ფეხბურთელი არ შემხვედრია. თამაშის შემდეგ რომ მთელი გასახდელი დალეწა, ამაზე არაფერი უთქვამს? გასახდელი ააწრიალა თავისი გინებით და მისთვის სიტყვა არავის უთქვამს.

...არავითარი პისტოლეტი იქ არ ყოფილა. ამას კლუბის დირექტორი და მთავარი მწვრთნელი დაამოწმებენ. აი, ხვალ „კრილიას“ პრეზიდენტი ჩამოვა და მომხდარზე გადაწყვეტილებასაც მიიღებენ“.

და რას ამბობს თავად გაჯიევი? ბრანკო გიჟია, მას ადამიანურად მოქცევა არ შეუძლია, ომარ თეთრაძე კი ქუჩიდან მოსული კაცი არაა, მას ათასობით ადამიანი იცნობს როგორც უაღრესად ინტელიგენტ და განათლებულ ადამიანსო...

„თქვენ გგონიათ, ბრანკომ დააგვიანა თეორიულ მეცადინეობაზე? ის საერთოდ არ მივიდა და მოიტყუა, მაღვიძარას დაყენება დამავიწყდაო. მე ბოლომდე ვენდობი ჩვენს თარჯიმანს, რომელმაც მითხრა, ბრანკოს დავურეკე, არ ეძინა, რაღაცა ჩაიბურტყუნა და ტელეფონი გამითიშაო. გადავწყვიტე, ბრანკოს ნაცვლად სხვა ფეხბურთელი დამეყენებინა თამაშზე. მოშისმინა? ჯერ ურნას დაარტყა ფეხი, შემდეგ თარჯიმანსაც მისცხო. სხვათა შორის, თარჯიმანი აპირებს, ბრანკოს სასამართლოში უჩივლოს. თეთრაძემ ბრანკოს სთხოვა, სიტუაცია არ გაემწვავებინა, მაგრამ პასუხად მთელ ჩვენს ქვეყანას და იმ პიროვნებებს შეაგინა, ვინც უცებ გაახსენდა. ბოლოს კი სადილით გაწყობილი მაგიდა გადაატრიალა.

...თეთრაძე პისტოლეტით მემუქრებოდაო? ამის თქმა ისეთი უზნეობაა, კომენტარის გაკეთებაც ძნელია. ცხადია, ბრანკოს გუნდში დატოვების არანაირი სურვილი არ მაქვს. ვხვდები, მან განგებ მოაწყო სკანდალის ინსცენირება, რათა გერმანიაში წასულიყო. ის ზურგს უკან „ბოხუმთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ალბათ ჩუმ შეთანხმებას მიაღწია. ადრე თავად ბრანკომ მთხოვა, „კრილიას“ ხელმძღვანელობისთვის მეთქვა, მშვიდად გაეშვათ „ბოხუმში“. მე ვუპასუხე, რომ ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედიოდა“.

რუსული გამოცემები მომხდარ ფაქტზე კომენტარს ვერ აკეთებენ. ისე კი, ყველა ამბობს — ბრანკოს ძალიან უყმური ხასიათი აქვს, წაგებული თამაშების შემდეგ კი თავს შეგაზიზღებს, ისე იქცევაო...

გუშინ „კრილიას“ ხელმძღვანელობამ მხარეებს მოუსმინა და ბრანკო გუნდიდან გაურკვეველი ვადით მოკვეთა.

ილია ნანოგაშვილი

მართვეს ბიჭების ევროტრიუმფი

ახლახან ბულგარეთში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი 1992 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ამ ტურნირში ბულგარული, აზერბაიჯანული და რუსული გუნდების გარდა ორი ქართული გუნდიც მონაწილეობდა და ორივემ ღირსეულად წარმოაჩინა თავი: თბილისის „მართვე“ ჩემპიონი გახდა, 25-ე სკოლა კი მესამეზე გავიდა.

„მართვე“ ის გუნდია, წლების მანძილზე შემართებით რომ თამაშობს ქალაქის პირველობაზე თუ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში და თითქმის ყოველთვის გამარჯვებულები რჩება. წლების მანძილზე „მართვეს“ ჭაბუკები შრომითი რეზერვების ბაზის სტადიონზე ვარჯიშობდნენ, ახლა კი, სამწუხაროდ, ჯერაც გაურკვეველია, ეღირსებათ თუ არა მათ საკუთარ სტადიონზე დაბრუნება, რადგან იგი სრულიად განადგურებულია.

აქვე ბულგარეთში გაჩემპიონებული „მართვეს“ შემადგენლობაც: სოსო მამუჩარაშვილი, თორნიკე გულიაშვილი, ლუკა საჩეჩელაშვილი, ვაჟა გიუნაშვილი, ბექა მჭედლიშვილი, გიგა ზურაბაშვილი, რეზო გურგენიძე, შოთა ბერიანიძე, გიორგი ზუბიაშვილი, ბექა ციცხოია, ბექა ბურდული, გიორგი მახაშვილი; მწვრთნელი — დავით კაციტაძე.

ნელსონ მანდელას ცნობილი ციხე

ბლატერი აფრიკულ ფანტაზმებს აჰყვა

შევარიგოთ ზიდანი და მატერაცი მანდელას საკანში

ტოკიო სექსვეილი

ფიფამ ახალი გეგმები დააწყო — მსოფლიო ფეხბურთის მთავარმმართველი ზეპ ბლატერი სამხრეთ აფრიკაში ზინედინ ზიდანისა და მარკო მატერაცის ერთად გაშვებას აპირებს და სურს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მთავარმა ანტიგმირებმა მომავალი ჩემპიონატის მიწაზე დიდი შერიგება მოაწყონ.

ამისათვის, რასაკვირველია, საჭიროა სამხრეთ აფრიკაში დაძმობილებაზე თანხმობა თავად ზიდანმა და მატერაციმ განაცხადონ. ცნობილია, რომ ზიდანი „მატერაცასთან" შერიგებას არ ფიქრობს, მაგრამ ცნობაში, რომელსაც ახლა გაწვდით, მთავარია, რას ფიქრობს ბლატერი, ბლატერი კი ფიქრობს — გთხოვთ, ტანში ნურავის გაგაჟრჟოლებთ — იტალიელი და ფრანგი ერთმანეთთან იმ ციხის იმ საკანში შეარიგოს, რომელშიც ნელსონ მანდელამ 27 წელიწადი გაატარა.

„ჩვენ ზიდანის და მატერაცის შერიგებაზე ვმუშაობთ — ბრძანა ბლატერმა — შერიგების ადგილად რამდენიმე ვარიანტს ასახელებენ, რომელთაგან ერთ-ერთი კუნძული რობენია, სადაც მანდელა ჰყავდათ საპყრობილეში გამოკეტილი. ბოლოს და ბოლოს, მატერაცისა და ზიდანის ისტორია უნდა დასრულდეს. სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი წითელი ბარათითა და პენალტებით დასრულდა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა".

საინტერესოა, რომ რობენის კუნძულზე შერიგების იდეა ფიფას მანდელას თანასაკნელმა ტოკიო სექსვეილმა მიაწოდა. ეს კაცი ახალ მსოფლიოს 2010 წლის მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრია.

პაპუნა კედია

წითელ-ყვითელი ცხოვრება გრძელდება

სიმონე პეროტამ „რომასთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. როგორც ამბობენ, ამაში სიახლე მხოლოდ საკითხის იურიდიული მხარეა, თორემ სიტყვიერად მხარეები ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ყოფილან შეთანხმებულნი. ასე და ამგვარად, პეროტა, რომელიც წინა კონტრაქტის თანახმად რომაელი 2008 წლამდე უნდა ყოფილიყო, წელიწადში დაბეგვრის გარეშე დაახლოებით 3 მილიონ ევროს მიიღებს და ზედ შესაძლო წარმატებებისთვის გათვალისწინებული პრემიები დაერიცხება.

შეგახსენებთ, რომ პეროტამ წითელ-ყვითელი მაისურა 2004 წელს მორგო, როდესაც „კიევიმ" 8,3 მილიონი ევროს საფასურად გაუშვა. ინგლისში დაბადებულ ნახევარმცველს ბურთი „ბარისა" და „იუვენტუსშიც" გაუგორებია.

პაპუნა კედია

მაურინიუმ ჩემპიონთა ლიგა უკვე მოიგო

რატომღაც, „ჩელსის" პორტუგალიელ მწვრთნელზე, ჟოზე მაურინიუზე ითქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებს, გუნდიდან წავა. მერედა, ამ ხმებს მეტისმეტად დაბეჯითებით ავრცელებენ. ამბობენ, რომ მისი ხასიათის ადამიანი დიდი გამარჯვების შემთხვევაში ვეღარ გაჩერდება გუნდში, სადაც მესამე სეზონს ატარებს. ამბობენ, რომ მას აუცილებლად დასჭირდება ახალი გამოწვევა და მაგალითად მის „პორტუდან" წასვლას იშველიებენ — 2004 წელს პორტუგალიური გუნდი მწვრთნელმა სწორედ ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ დატოვა.

მაგრამ მაურინიუმ ეს ხმები უარყო, მან თქვა:

„ტყუილია, თითქოს გამარჯვების შემთხვევაში გუნდიდან წასვლას ვაპირებდე. ასეთი შეცდომა ერთხელ უკვე მომივიდა, როდესაც ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ „პორტუდან" წავედი. ამ წასვლით ის მოხდა, რომ საკონტინენტთაშორისო თასი სხვა მწვრთნელმა მოიპოვა. ასეთი რაღაც აღარ უნდა განმეორდეს. საკონტინენტთაშორისო თასი ჩემთვის მინდა".

მაგრამ იქამდე ჯერ ადრეა. იმისთვის, რომ მაურინიუმ „ჩელსი" საკონტინენტთაშორისო თასამდე მიიყვანოს, საჭიროა, გაისად, 23 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში სწორედ მან მოიგოს, არადა, თავად პორტუგალიელის თქმით, ლიგაში გამარჯვებისთვის, სულ მცირე, 10 გუნდი იბრძვის.

„ლიგის მოგება, სულ მცირე 10 გუნდს შეუძლია და ჩვენსა და მათ შორის მხოლოდ ერთი გამარჯვებაა, ჩვენ სურვილს არ ვმალავთ" — თქვა „ჩელსის" ტაქტიკოსმა.

პაპუნა კედია

იბრაკადაბრა: მელოდია ძველია, სიტყვებია სხვა

მილანის „ინტერის" ახალწვეულმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, რომელიც „ნეროაძურიში" ამ ზაფხულს „იუვენტუსიდან" გადავიდა, რობერტო მანჩინი შეაქო. ბოსნიური წარმოშობის შვედის თქმით, მას ამ მწვრთნელთან მუშაობა უფრო უადვილდება, ვიდრე ტურინელთა ყოფილ თავკაც ფაბიო კაპელოსთან.

ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ თავის დროზე „იუვენტუსმა" იბრაჰიმოვიჩი „აიაქსიდან" კაპელოს დაჟინებული მოთხოვნით იყიდა. დონ ფაბიო მისადმი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი და ზლატანმაც პირველი სეზონი „ბებერი ქალბატონის" მაისურით საოცრად ჩაატარა. მაშინ იგი კაპელოზე სხვაგვარად ჭიკჭიკებდა, მაგრამ მერე მათი ურთიერთობა დაიძაბა. იბრაჰიმოვიჩმა თამაშს უკლო და გამოცდილმა ტაქტიკოსმაც მის სათადარიგოთა სკამზე დასმას უხშირა.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „ინტერი" „იუვენტუსისგან" განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს, რადგან მანჩინის სულ სხვა მიდგომა აქვს, ვიდრე კაპელოს ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, ახლა თავს უკეთ ვგრძნობ, ვიდრე „იუვეში". „ინტერში" მეტი თავისუფლება და თვითრეალიზაციის უფრო დიდი საშუალება მაქვს. კარგ ფორმაში ვარ და თანაგუნდელებსაც ნელ-ნელა ვუგებ. სწორ გზაზე ვდგავართ და იმედია, მას არც გადავუხვევთ".

„იბრაკადაბრამ" „იუვეში" წინა სეზონი ჩააგდო, წლეულს კი კარგად დაიწყო — „ფიორენტინას" კარში მესამე, გამარჯვების გოლი შეაგდო. „ინტერმა" ის შეხვედრა ფლორენციაში 3:2 მოიგო.

„ყველანი თავდაუზოგავად ვმუშაობთ და გვინდა, რომ ეს სეზონი წარმატებული გამოდგეს. ჯერ ყველაფერი წინაა, მაგრამ გამარჯვებით დაწყება მნიშვნელოვანია. ასევე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ლუიშ ფიგუს. იგი ძალიან გამოცდილია და მის გვერდით თამაში სასიამოვნოა. ყოველთვის მინდოდა, ჩემს გუნდში ფიგუს დარი ფეხბურთელი ყოფილიყო" — დასძინა იბრაჰიმოვიჩმა.

სიტუაცია იდიოტურია

ერიკსონმა იცის, რომ მისი ლაპარაკი ცარიელი ლაქლაქია

სვენ გორან ერიკსონს ბერლინში დაგეგმილ ფიფას სიმპოზიუმზე სიტყვით გამოსვლაზე უთქვამს უარი. მისი ეს პოზიცია უეფას პრეზიდენტს და მისსავე თანამემამულეს, ლენარტ იუჰანსონს განუმარტავს:

„სვენს, უბრალოდ, ყელში ამოუვიდა — მიაჩნია იუჰანსონს — მას ყველგან აკრიტიკებენ და არაკომპეტენტურს უწოდებენ იმის გამო, რომ ინგლისის ნაკრებმა პორტუგალიასთან წააგო".

ერიკსონის ხუთწლიანი მენეჯერობა ინგლისში გეხსომებათ, უსახელოდ დასრულდა მსოფლიო თასის მეოთხედფინალში.

სამ დიდ შეჯიბრში მისი გუნდი რვა საუკეთესოს იქით ვერ წავიდა.

ამ ხუთ წელიწადში მან ხელფასად 25 მილიონი გირვანქა მიიღო და კრიტიკოსიც, ცხადია, არ გამოილევა.

ბერლინის სიმპოზიუმზე შვედი მარჩელო ლიპისთან და რაიმონ დომენეკთან ერთად იყო მიწვეული. იუჰანსონმა თქვა: „მას არაფერი აუღია დაუმსახურებლად და ღირსებაც გააჩნია. არ უნდოდა, რომ ლექცია წაეკითხა, დარბაზში კი არავის მოესმინა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემპიონი ვერ გახდა. კი არ ვიცავ, უბრალოდ, მესმის მისი".

ირაკლი გამყრელიძე

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღის

E ჯგუფი

დინამო — სტიაუა

ლიონი — რეალი

რეალიები მეორდება

„ლიონმა“ და „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგა წინა სეზონშიც ერთმანეთით დაიწყეს. მაშინ „ჟერლანზე“ მასპინძლებმა საწყის 31 წუთში სამი გოლი გაიტანეს. მატჩში მეტი გოლი აღარც გასულა. საპასუხო შეხვედრა კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1:1 დასრულდა. თუმცა ორივე კლუბს კარგად ესმის, რომ ახლა სხვა დროა, სხვა „ლიონი“ და სხვა „რეალია“.

„რეალის“ დაცვა ახლა უფრო ძლიერია და იმავე შეცდომებს, ალბათ, აღარ დაუშვებს. ზაფხულში მადრიდელებმა ფაბიო კანავარო და ემერსონი „იუვენტუსიდან“, ხოლო მაჰამადუ დიარა სწორედ „ლიონიდან“ დაიმატეს. ამ ფეხბურთელებს კი მეტოქის იერიშების ჩაშლა კარგად ეხერხებათ და შეტევაშიც სასარგებლონი არიან. „სამეფო გუნდს“ ტრავმირებული ჰყავს მიჩელ სალგადო, ვისაც სისინიო შეცვლის.

„ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ეს მატჩი შარშანდლის მსგავსი არ იქნება. მადრიდელები რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდნენ და ახალი მწვრთნელი ჰყავთ, რომლის შესაძლებლობებიც ყველასთვის კარგადაა ცნობილი“ — აღნიშნა ლიონელთა ლიდერმა ჟუნინიომ.

წინასწარი ინფორმაციით, „რეალის“ შემადგენლობა საკმაოდ შემტევი იქნება. კაპელო ვან ნისტელროის, რაულს, ანტონიო კასანოსა და ხოსე ანტონიო რეიესის ერთად დაყენებას აპირებს. შეცვლაზე კი რობინიო ეყოლება. შთამბეჭდავია ფრანგების შემტევი ოთხეულიც — ჟუნინიო, მალუდა, გოვუ და ფრედი.

ჯგუფის მეორე მატჩი კიევში გაიმართება. „დინამო“ ბუქარესტის „სტიაუას“ მასპინძლობს. ზუსტად ოცი წლის წინ რუმინელებმა ჩემპიონთა თასი მოიგეს, ხოლო უკრაინელებმა — თასების თასი. სუპერთასის შეხვედრაში კი გეორგე ჰაჯის ერთადერთი გოლის წყალობით გამარჯვება „სტიაუას“ დარჩა. ბოლოს ეს კლუბები ერთმანეთს 2001 წელს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდნენ და მაშინ ორი მატჩის ჯამში კიეველებმა 5:3 იმარჯვეს.

F ჯგუფი

მანჩესტერი — სელტიკი

კოპენჰაგენი — ბენფიკა

კელტები დანაღმულ მინდორზე

სხვადასხვა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების კვალობაზე „მანჩესტერი“ და „სელტიკი“ საკმაოდ ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ეს, რა თქმა უნდა, ამხანაგური თამაშებია, ოღონდაც ბრძოლა მაინც გვარიანი გამოდის ხოლმე.

ბოლო ასეთი შეხვედრა როი კინის გაცილებისას მოხდა და საერთოდ, ქვეყნად იოლად მოიძებნებიან ისეთი ფეხბურთელები, ორივეგან რომ უთამაშიათ.

ერთი ასეთია პედი კრერანდი, რომელსაც 60-იან წლებში ორივე გუნდში უვარსკვლავია.

პედის აზრით, „მანჩესტერი“ „სელტიკს“ დაამარცხებს, თანაც „სელტიკს“ სტილიან პეტროვიც არ ეყოლება, რაც წინა ხაზზე დიდი დანაკარგია. „რეალიდან“ გადასული თომას გრავესენი ძალაა, მაგრამ არა წინა ხაზზე. ამ ზაფხულს მისი აგენტი ქაჩალი ბულტერიერის „მანჩესტერისთვის“ მიყიდვას ცდილობდა, მაგრამ კლუბი მისით არ დაინტერესდა.

სამაგიეროდ, „მანჩესტერს“ უეინ რუნი დაუბრუნდება.

ასევე ორი გუნდის ყოფილი ვარსკვლავი ლუ მაკკარი გლაზგოელებს აფრთხილებს, რომ რუნი სწორედ უთამაშებელია საშიში. შარშან ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში ახალმომჯობინებულმა რუნიმ სამი გოლი გაუტანა „ფენერბაჰჩეს“.

საინტერესო იქნება მენეჯერთა შეხვედრა: გორდონ სტრაჩანი ოდესღაც ფერგის ხელქვეით თამაშობდა, მერე კი როგორც პრემიერლიგის მენეჯერი ეპაექრებოდა მას.

„მანჩესტერს“ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ უბრუნდება პოლ სქოულზი, რაიან გიგზი კი ბრწყინვალე ფორმაშია.

„სელტიკს“ „ოლდ ტრეფორდზე“ 8 ათასი გულშემატკივარი ეყოლება. 8 ათასი კელტი კი ხუმრობა სულაც არ გახლავთ.

E ჯგუფი

რეალი (ესპანეთი)

მეკარეები
1 — იკერ კასილიასი
13 — დიეგო ლოპესი
28 — ანტონიო ადანი
29 — ფრანსისკო კასილია

მცველები
2 — მიჩელ სალგადო
3 — რობერტო კარლოსი
4 — სერხიო რამოსი
5 — ფაბიო კანავარო
11 — სისინიო
15 — რაულ ბრავო
21 — ივან ელგერა
22 — ფრანსისკო პავონი
24 — ალვარო მეხია
38 — მიგელ ტორესი

ნახევარმცველები
6 — მაჰამადუ დიარა
8 — ემერსონი
14 — ხოსე მარია გუტი
19 — ხოსე ანტონიო რეიესი
23 — დევიდ ბეკქემი
27 — რუბენ დე ლა რედი
32 — ადრიან გონსალესი
33 — ესტებან გრანერო
35 — პედრო პარადა
36 — მიგელ ნიეტო
37 — მარკოს ტებარი
39 — ბორხა ვალერო

თავდამსხმელები
7 — რაულ გონსალესი
9 — რონალდო
10 — რობინიო
17 — რუუდ ვან ნისტელროი
18 — ანტონიო კასანო
26 — ხავი გარსია
30 — ალბერტო ბუენო
31 — რაიკო გარსია
34 — ხუან მატა

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

სტიაუა (რუმინეთი)

მეკარეები
12 — კორნელ ჩერნეა
13 — კარლოს ფერნანდეში
31 — მარიუს ტომა

მცველები
3 — დორინ გოიანი
4 — დანიელ პანაიცი
5 — დანიელ ბალანი
6 — მირელ რადოი
15 — მიხაი ნესუ
17 — ეუგენ ბაჩიუ
18 — პეტრე მარინი
23 — რაჰამინ საბანი
24 — სორინ გიონია
27 — სტელიან სტანჩუ

ნახევარმცველები
8 — ოვიდიუ პეტრე
10 — ნიკოლაე დიკა
11 — გაბრიელ ბოსტინა
14 — ვასილიცა კრისტოჩია
16 — ბანელ ნიკოლიტა
20 — ფლორინ ლოვინი
22 — სორინ პარასკივი
28 — გიგელ კომანი
30 — იულიან ოჩიროსილი

თავდამსხმელები
7 — დანიელ ოპრიტა
9 — ვალენტინ ბადეა
19 — ვიქტორას იაკობი
21 — სტელიან ტერეაუ

მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ

ლიონი (საფრანგეთი)

მეკარეები
1 — გრეგორი კუპე
25 — იოახ ჰარტოკი
30 — რემი ვერკუტრე
35 — ჟერემი ეიმსი

მცველები
2 — ფრანსუა კლერკი
3 — კრისი
4 — პატრიკ მიულერი
5 — კლაუდიო კასაპა
12 — ანტონი რეველიერი
20 — ერიკ აბიდალი
23 — ჟერემი ბერტოდი
29 — სებასტიან სკილაჩი
32 — სანდი პაილო
37 — ჟულიენ ფოსურიე
38 — მურად ბენჰამიდა
43 — აურელიან ბრუნო

ნახევარმცველები
6 — კიმ კალსტრიომი
8 — ჟუნინიო პერნამბუკანო
15 — ალუ დიარა
17 — ფლორენ მალუდა
21 — ტიაგუ მენდეში
22 — სილვენ ვილტორდი
24 — რომან ბეინი
28 — ჟერემი ტულალანი
43 — დემიენ პლესისი

თავდამსხმელები
9 — იონ კარეუ
11 — ფრედი
14 — სიდნეი გოვუ
18 — ჰატემ ბენ აფრა
19 — ქარიმ ბენზემა
27 — ანტონი მუნიე
31 — იასინ იმა
34 — ლუკ რემი
36 — სილვენ იდახგარი
39 — გრეგორი ბეტიოლი
40 — ლოსემი კარაბუ
42 — ჟერემი პიდი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

დინამო (უკრაინა)

მეკარეები
1 — ალექსანდრ შოვკოვსკი
21 — ტარას ლუცენკო
55 — ალექსანდრ რიბკა

მცველები
4 — როდოლფო
6 — გორან საბლიჩი
26 — ანდრეი ნესმაჩნი
27 — ვლადისლავ ვაშჩუკი
32 — გორან გავრანჩიჩი
39 — დენის დედეჩკო
44 — როდრიგო
81 — მარიან მარკოვიჩი

ნახევარმცველები
7 — კარლოს კორეა
8 — ვალენტინ ბელკევიჩი
10 — ფლორინ ჩერნატი
14 — რუსლან როტანი
15 — დიეგო რინკონი
17 — ტარას მიხალიკი
20 — ოლეგ გუსევი
29 — ვიტალი მანდიუკი
30 — ბადრ ელ კადური
37 — აიილა იუსუფი
40 — ჰარისონ ოტალვარო

თავდამსხმელები
5 — სერგეი რებროვი
9 — კლებერი
11 — ხოსე მორენო
16 — მაქსიმ შაციხი
23 — მარის ვერპაკოვსკისი
25 — არტიომ მილევსკი
78 — ვლადიმირ ლისენკო
88 — ალექსანდრ ალიევი

მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო

F ჯგუფი

მანჩესტერი (ინგლისი)

მეკარეები
1 — ედვინ ვან დერ სარი
29 — ტომაშ კუშჩაკი
38 — თომას ჰიტონი
39 — რობერტ ცილერი

მცველები
2 — გარი ნევილი
3 — პატრის ევრა
4 — გაბრიელ ჰაინცე
5 — რიო ფერდინანდი
6 — უესლი ბრაუნი
15 — ნემანია ვიდიჩი
22 — ჯონ ოში
25 — დევიდ ჯონსი
27 — მიკაელ სილვესტრი
32 — კრეიგ კეტკარტი
34 — რაიან შოუკროსი
35 — კიერან ლი
36 — დევიდ გრეი

ნახევარმცველები
7 — კრიშტიანუ რონალდუ
11 — რაიან გიგზი
13 — ჯი სუნ პარკი
16 — მაიკლ კარიკი
18 — პოლ სქოულზი
23 — კიერან რიჩარდსონი
24 — დარენ ფლეტჩერი
49 — რიჩარდ ჯონსი

თავდამსხმელები
8 — უეინ რუნი
9 — ლუი საა
14 — ალან სმიტი
20 — ოლე გუნარ სოლსკიაერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ბენფიკა (პორტუგალია)

მეკარეები
1 — ეოზე მორეირა
12 — კიმი
31 — მორეტო

მცველები
2 — პედრუ კორეია
3 — ანდერსონი
4 — ლუიზაო
5 — ლეო
11 — მიგელიტო
13 — ედუარდო ალსიდესი
22 — ნელსონი
33 — რიკარდუ როჩა

ნახევარმცველები
6 — არმანდუ პეტიტი
7 — მარკუ ფერეირა
8 — კონსტანტინოს კაცურანისი
10 — მანუელ რუი კოშტა
14 — დიეგო სოუზა
15 — პაულუ ჟორჟე
16 — ბეტუ სეველრუ
18 — მანუ სანჩესი
19 — ანდრეი კარიაკა
20 — სიმაო საბროსა
25 — ნუნუ ასისი
26 — გეორგიოს კარაგუნისი
28 — ჟოაუ კოიმბრა

თავდამსხმელები
9 — პედრო მანტორაში
17 — კიკინი
21 — ნუნუ გომეში
30 — ფაბრიციო მიკოლი

მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში

სელტიკი (შოტლანდია)

მეკარეები
1 — არტურ ბორუცი
22 — დევიდ მარშალი
47 — მაიკლ მაკგოვერნი

მცველები
3 — ლი ნეილორი
5 — გარი კოლდუელი
6 — ბობო ბალდე
12 — მარკ უილსონი
41 — ჯონ კენედი
44 — სტივენ მაკმანუსი
48 — დარენ ოდი
49 — სკოტ კუტბერტი

ნახევარმცველები
2 — პოლ ტელფერი
8 — ალან ტომპსონი
11 — სტივენ პირსონი
15 — ევანდერ სნო
16 — თომას გრავესენი
18 — ნილ ლენონი
20 — ირჟი იაროშიკი
25 — შუნსუკე ნაკამურა
38 — როკო ქუინი
42 — მაიკლ მაკგინლი
45 — ჯეიმს ობრაიენი
46 — ეიდენ მაკგიდი
53 — საიმონ ფერი
55 — რაიან კონროი

თავდამსხმელები
7 — მაცეი ჟურავსკი
9 — კენი მილერი
10 — იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
14 — დერეკ რიორდანი
29 — შონ მელოუნი
37 — კრეიგ ბიტი
43 — დიარმუდ ოკეროლი
51 — ნიკოლას რილეი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

კოპენჰაგენი (დანია)

მეკარეები
1 — იესპერ კრისტიანსენი
21 — თომას ვილადსენი
31 — ბენი გალი

მცველები
2 — ლარს იაკობსენი
5 — ბრედე ჰანგელანდი
14 — მიხაელ გრავგაარდი
15 — ანდრე ბერგდოლმო
16 — დან თომასენი
17 — ოსკარ ვენდტი
25 — ჯამილ ფეარინტონი
26 — ნიკოლაი ჰანსენი

ნახევარმცველები
4 — ჰიალტე ნორეგაარდი
6 — ტომიას ლინდერუტი
8 — მიხაელ სილბერბაუერი
10 — იესპერ გრონკიაერი
13 — ატიბა ჰათჩინსონი
23 — უილიამ კვისტი
24 — იეპე ბრანდრუპი
28 — მარტინ ბერგვოლდი

თავდამსხმელები
9 — ფრედრიკ ბერგლუნდი
11 — მარკუს ოლბოკი
20 — რაზაკ პიმპონგი
27 — მარტინ ბერნბურგი

მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

G ჯგუფი

პორტუ — ცსკა

ჰამბურგი — არსენალი

ამბობენ, პორტუ ფავორიტიაო

G ჯგუფის მთავარი მატჩი ჰამბურგშია, სადაც თომას დოლის შეგირდები „არსენალს“ მასპინძლობენ. ორივე გუნდის შემადგენლობა ოპტიმალურია, ხოლო განწყობა საბრძოლო. ლონდონელთა თქმით, ისინი მოსაგებად ითამაშებენ, მაგრამ არც ფრეზე იტყვიან უარს. ჰამბურგელებს კი საკუთარ კედლებში გამარჯვება სურთ, მაგრამ ეს ადვილი რომ არ იქნება, თავადაც ხვდებიან.

ამ კლუბებს აქამდე ერთმანეთთან არ უთამაშიათ. „ჰამბურგი“ ინგლისურ გუნდებს ხუთჯერ შეხვედრია. აქედან ორჯერ მოუგია, ამდენჯერვე წაუგია, ხოლო ერთი მატჩი ფრედ დასრულებულა. „არსენალს“ კი გერმანულ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვს — 10 მოგება, 3 ფრე და 7 წაგება. თუმცა „მეთოფეებს“ გასვლაზე უჭირთ: გერმანიაში ათი სტუმრობიდან მათ მხოლოდ ორი მოიგეს.

„არსენალის“ მეკარე იენს ლემანი ჩემპიონთა ლიგაში 50-ე მატჩს გამართავს და „მეთოფეების“ ისტორიაში მეოთხე ფეხბურთელი გახდება, ვისაც ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში 50 ან მეტი თამაში ჩაუტარებია. თუ „ჰამბურგი“ გაიტანს, ეს გერმანელთა მესამასე გოლი იქნება ევროტურნირებზე, აქამდე ჩატარებულ 161 მატჩში მათი მეტოქეები 299-ჯერ დაუმწუხრებიათ.

მეორე წყვილში მოსკოვის ცსკა-ს პორტუგალიურ კლუბებთან დადებითი ბალანსის იმედი აქვს და „პორტუსთან“ სულ მცირე ქულის მოპოვების იმედითაა. თუმცა სპეციალისტებმა ამ მატჩის ფავორიტად „პორტუ“ შერაცხეს და ლუზიტანებიც ერთადერთ მისაღებ შედეგად ამ შეხვედრაში სწორედ მოგებას მიიჩნევენ.

ესენი ერთმანეთს 2003-04 წლების სეზონშიც შეხვედრიან: პორტუგალიაში მატჩი უგოლოდ დასრულდა, ხოლო მოსკოვში „პორტუმ“ ბენი მაკკარტის კინკილა გოლით იმარჯვა.

H ჯგუფი

ანდერლეხტი — ლილი

მილანი — აეკ

ალბერტო მერე იჯილავენს

დღეს „მილანის“ თავდასხმაში ალბერტო ჯილარდინოს უნდა ველოდოთ. მასთან ერთად წყვილში, სავარაუდოდ, ფილიპო ინძაგი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელ რიკარდო ოლივეირას სათადარიგოთა სკამიდან მოუწევს „აეკთან“ შეხვედრის ცქერა. რატომ აღვნიშნავთ ამ ამბავს ასე ხაზგასმით? იმიტომ, რომ ჯილარდინო ცუდ ფორმაშია, ოლივეირამ კი სერია A-ს პირველ ტურში „ლაციოს“ გოლი გაუტანა და თითქოს შორიდან მაცქერალი თვალისთვის დღეს მისი თამაში უფრო ლოგიკური იქნებოდა.

„ალბერტოს ყოველთვის ბევრი გოლი გაჰქონდა და ეჭვი არ არის, მომავალშიც ასე განაგრძობს — განაცხადა შავ-წითლების ასისტენტმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა მცველმა მაურო ტასოტიმ — რაც შეეხება სეზონის სტარტს, თუ გახსოვთ, მან შარშანაც მძიმედ დაიწყო. თუ „ლაციოსთან“ თამაშის მიხედვით გინდათ განსჯა, გეტყვით, რომ იმ დღეს ნაკრებიდან ახალდაბრუნებული და დაღლილი გახლდათ. ჯილარდინომ ნაკრების შემდეგ ჩვენთან მხოლოდ ერთხელ ივარჯიშა და ფიზიკურად, როგორც ჩანს, გადაიტვირთა“.

ჯგუფის მეორე თამაში კი ბრიუსელში გაიმართება — ერთმანეთის წინაშე „ანდერლეხტი“ და „ლილი“ წარდგებიან. რით ჰგვანან ბელგიური და ფრანგული გუნდები ერთმანეთს? იმით, რომ ლიგის წინა გათამაშებაში ერთმაც და მეორემაც ყველაზე ცოტა, თითო გოლი გაიტანა. ისე, ბელგიის ჩემპიონს ფრანგების მასპინძლობა ცუდად არ გამოუდის — ბოლო ხუთი დაპირისპირებიდან ერთიც არ წაუგია, სამი მოიგო, ორი ფრედ ითამაშა და ხსენებული სამი მოგებიდან მოედანი სამივეჯერ გაშვებული გოლის გარეშე დატოვა.

„ანდერლეხტი“ და „ლილი“ ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან.

G ჯგუფი

არსენალი (ინგლისი)

მეკარეები

1 — იენს ლემანი
21 — მარტ პოლმი
24 — მანუელ ალმუნია
36 — ვიტო მანონე

მცველები

5 — კოლო ტურე
6 — ფილიპ სენდეროსი
10 — უილიამ გალასი
12 — ლორენ ეტამაიერი
20 — იოჰან ჯირუ
22 — გაელ კლიჩი
27 — ემანუელ ებუ
31 — ჯასტინ ჰოიტი
33 — მეთიუ კონოლი
34 — რაიან გერი

ნახევარმცველები

2 — აბუ დიაბი
4 — ფრანსესკ ფაბრეგასი
7 — ტომაშ როსიცკი
8 — ფრედერიკ ლიუნგბერგი
9 — ჟულიო ბაპტისტა
11 — რობინ ვან პერსი
13 — ალექსანდრ გლები
15 — დენილსონ ნევეში
16 — მეთიუ ფლამინი
17 — ალექსანდრ სონგი
19 — ჟილბერტო სილვა

თავდამსხმელები

14 — ტიერი ანრი
25 — ემანუელ ადებაიორი
30 — ჟერემი ალიადირი
32 — თეო უოლკოტი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ცსკა (რუსეთი)

მეკარეები

1 — ვენიამინ მანდრიკინი
35 — იგორ აკინფეევი
77 — ვლადიმირ გაბულოვი

მცველები

2 — დეივიდას შემბერასი
3 — რომან გონჩაროვი
4 — სერგეი იგნაშევიჩი
6 — ალექსეი ბერეზუცკი
15 — ჩიდი ოდია
24 — ვასილი ბერეზუცკი
39 — ივან ტარანოვი
50 — ანტონ გრიგორიევი
57 — სერგეი გორელოვი

ნახევარმცველები

5 — ალექსეი სმეტანინი
7 — დანიელ კარვალიუ
8 — როლან გუსევი
17 — მილოშ კრასიჩი
18 — იური ჟირკოვი
20 — დუდუ
22 — ევგენი ალდონინი
25 — ელვირ რახიმიჩი
37 — კირილ კოჩუბეი
38 — პაველ ხრამოვი

თავდამსხმელები

9 — ივიცა ოლიჩი
10 — ჟო
11 — ვაგნერ ლავი
49 — ალექსანდრ სალუგინი

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

პორტუ (პორტუგალია)

მეკარეები

1 — ელტონი
24 — პაულუ რიბეირუ
32 — უგო ვენტურა
99 — ვიტორ ბაია

მცველები

2 — რიკარდუ კოშტა
3 — სიმონე პეპე
5 — მარეკ ჩეხი
12 — ჟოზე ბოსინგვა
13 — დანიელ ფუსილე
14 — ბრუნო ალვეში
15 — ეზეკიაში
26 — ჟოაუ პაულუ

ნახევარმცველები

6 — იბსონი
7 — რიკარდუ კვარესმა
8 — ლუჩო გონსალესი
10 — ანდერსონი
11 — ტარიკ სეკტიუი
16 — რაულ მეირელეში
18 — პაულუ ასუნსაო
21 — ალანი
30 — ფაბინიო
31 — დიოგო ვალენტე
35 — ანდრე კასტრო

თავდამსხმელები

9 — ლისანდრო ლოპესი
17 — ვიეირინია
20 — ჟორჟინიო
23 — ელდერ პოშტიგა
28 — ადრიანუ
29 — ბრუნო მორაეში
33 — დანიელ კანდეიაში
34 — ანდრე მონტეირუ
36 — რუი პედრუ

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

ჰამბურგი (გერმანია)

მეკარეები

1 — შტეფან ვეხტერი
12 — საშა კირშტაინი
29 — ვოლფგანგ ჰესლი

მცველები

2 — ხუან პაბლო სორინი
3 — ტომოტე ატუბა
4 — ბასტიან რაინჰარდტი
5 — ჟორის მატიისენი
7 — მეჰდი მაჰდავიკია
10 — ვენსან კომპანი
16 — რენე კლინგბილი
20 — გაი დემელი

ნახევარმცველები

6 — რაფაელ ვიკი
13 — მარიო ფილინგერი
14 — დავიდ იაროლიმი
15 — პიოტრ ტროხოვსკი
18 — ოლივერ ჰამპელი
23 — რაფაელ ვან დერ ვაარტი
27 — ალექსანდრ ლაასი
28 — ნაიჯელ დე იონგი
30 — კოლინ ბენჯამინი
33 — ბენი ფილჰაბერი

თავდამსხმელები

9 — ხოსე პაულო გერერო
11 — ბენჟამინ ლაუტი
17 — ბუბაქარ სანოგო
22 — ბესარტ ბერიშა
34 — სიდნეი სამი
37 — როუვენ ჰენინგსი
38 — დანიელ ლიუბოია

მწვრთნელი: თომას დოლი

H ჯგუფი

მილანი (იტალია)

მეკარეები

1 — ნელსონ დიდა
16 — ჟულკო კალაჩი
29 — ვალერიო ფიორი

მცველები

2 — მარკოს კაფუ
3 — პაოლო მალდინი
4 — კახა კალაძე
5 — ალესანდრო კოსტაკურტა
13 — ალესანდრო ნესტა
17 — დარიო შიმიჩი
18 — მარეკ იანკულოვსკი
19 — ჯუზეპე ფავალი
25 — დანიელე ბონერა

ნახევარმცველები

8 — ჯენარო გატუზო
10 — კლარენს ზეედორფი
20 — იოან გურკუფი
21 — ანდრეა პირლო
22 — რიკარდო კაკა
23 — მასიმო ამბროზინი
27 — კლაუდიო სერჟინიო
32 — კრისტიან ბროკი

თავდამსხმელები

7 — რიკარდო ოლივეირა
9 — ფილიპო ინძაგი
11 — ალბერტო ჯილარდინო
15 — მარკო ბორიელო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

აეკ (საბერძნეთი)

მეკარეები

22 — დიონისის ხიოტისი
28 — სტეფანო სორენტინო
84 — იოანის არაბაცისი

მცველები

4 — ევანგელოს მორასი
5 — ბრუნო ჩირილო
13 — მარტინ პაუტასო
14 — სტავროს გიორგიოპულოსი
15 — სოკრატის პაპასტათოპულოსი
24 — იფეიანი უდეზე
31 — ნიკოლაოს გეორგიასი
55 — ტრაიანოს დელასი

ნახევარმცველები

7 — ილიას კირიაკიდისი
10 — პანაიოტის კონე
16 — აკის ზიკოსი
17 — ვლადიმირ ივიჩი
19 — პანაიოტის ლაგოსი
23 — ვასილიოს ლაკისი
25 — ემერსონი
56 — პერპარინ ჰეტემაი
88 — დანიელ ტოშერი

თავდამსხმელები

9 — ანდრეა დელიბაშიჩი
11 — გუსტავო მანდუკა
33 — ნიკოლაოს ლიბეროპულოსი
35 — პანტელის კაპეტანოსი
99 — ჟულიო სეზარი

მწვრთნელი: ლორენს სარა ფერერი

ლილი (საფრანგეთი)

მეკარეები

1 — ტონი სილვა
16 — გრეგორი მალიკი
30 — ლორან პიმონი
40 — ალექსანდრ ოუკიჯა

მცველები

3 — ალექსის უივიეცკი
4 — ეფსტათიოს ტავლარიდისი
5 — რაფაელ მმიტცი
19 — პეტერ ფრანკორი
20 — გრეგორი ტაფორო
22 — მილივოიე ვიტაკიჩი
25 — ნიკოლა ქლესტანი
26 — შტეფან ლიხტშტაინერი
28 — დიდოს ოვონა

ნახევარმცველები

2 — მეთიუ დებუში
6 — ფლავიენ ლე პოსტოლეკი
7 — იოან კაბაიე
8 — მიშელ ბასტოსი
9 — იოან ოდელი
10 — დანიელ გიგაქსი
12 — მეთიუ ბოდერი
15 — ფაისალ ნინი
17 — ჟან შაკუნი
18 — მეთიუ რობაილი
21 — მეთიუ შალმე
24 — სამუელ რობაილი
29 — სტეფან დიუმონი
31 — ჯერი ვან დამი
34 — ევან ელონგი

თავდამსხმელები

11 — სულეიმან იულა
13 — ნიკოლა ფოვერუი
14 — პეტერ ოდემვინეი
23 — კადერ კეიტა
27 — კევინ ძირალასი
32 — კამულეტ ნტულენვანი

მწვრთნელი: კლოდ პუელი

ანდერლეხტი (ბელგია)

მეკარეები

1 — დანიელ ვიტკა
13 — სილვიო პროტო
22 — დევი შოლენი
25 — იან ვან მტეენბერგი
35 — სამირ უიკანი

მცველები

3 — ოლივიე დეშახტი
6 — ჟილ ვან დამი
23 — როლანდ იუჰაში
26 — ნიკოლას პარეხა
31 — მარკ დე მანი
32 — კორ ვილისი
33 — ერვე კაგე
34 — სვენ ლუმსი
37 — ანტონი ვანდენ ბორე
39 — ვადის ოფოე
41 — ძეიკ ტიოტე
44 — მიშელ კოხე

ნახევარმცველები

4 — ივ ვანდერეგე
5 — ლუკას ბილია
8 — კრისტიან ლეივა
10 — აჰმედ ჰასანი
14 — ბარტ გოორი
30 — ჟერარ ლიფონდია
42 — სებასტიან სიანი
43 — სედრიკ სიზა
45 — თომას ვეიდიმი
46 — ჟან-ბაპტისტ იაკასოგო

თავდამსხმელები

7 — მოჰამედ ტშიტე
9 — მბო პენზა
11 — მბარკ ბუსუფა
17 — დიდონ ბეზუა
18 — სამი ალაგუი
24 — სერჰათ აკინი
29 — ნიკოლას ფრუტოსი
36 — ჯონათან ლეჟარი
38 — როლან ლამა
40 — რეჟის ლაკრუა

მწვრთნელი: ფრენკი ვერკუტერენი

დიარა ძველ მეგობრებს 90-წუთიან შოკს ჰპირდება

მადრიდის „რეალმა“ ზაფხულში ხუთი ახალი მოთამაშე დაიმატა. ამათგან ერთი მაჰამადუ დიარაა, რომელიც „სამეფო გუნდმა“ „ლიონიდან“ იყიდა. დღეს კი ჩემპიონთა ლიგის F ჯგუფში „ლიონი“ „რეალს“ ხვდება, ანუ მალელი ნახევარმცველი „უერლანზე“ მეტოქის რანგში ბრუნდება. შარშან ფრანგებმა პირწმინდად დაჩაგრეს ესპანელები — 3:0. ამაში დიდი წილი დიარამაც დაიდო, მაგრამ ახლა იგი ამბობს, რომ ყველაფერი სხვაგვარად იქნება და „რეალი“ მოსაგებად იბრძოლებს. realmadrid.com-მა მას ინტერვიუ ჩამოართვა

— რას გრძნობთ ლიონში დაბრუნების წინ?

— ძალიან გახარებული ვარ, რადგან მინდორზე ბრწყინვალე ფეხბურთელებისა და ყოფილი თანაგუნდელების გარემოცვაში ვიქნები. იქ ცოტა ფრანგულიც ვისწავლე და ბევრ ძველ მეგობარს მოვინახულებ, რომლებიც ლიონში ცხოვრობენ.

— შარშან „რეალმა“ „უერლანზე“ ძალიან ცუდად ითამაშა და მასპინძელთა გამარჯვება ლოგიკური იყო. „ლიონი“ ახლაც ძლიერია და, თქვენი აზრით, ვინ არის მისი საუკეთესო მოთამაშე?

— წლეულს სხვა სიტუაციაა, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა მე „რეალის“ მოთამაშე ვარ და არა „ლიონის“. რაც შეეხება ფრანგების საუკეთესო ფეხბურთელს, ერთის გამორჩევა ძალიან ძნელია. მათ შეკრული, ძლიერი გუნდი ჰყავთ, რომელსაც გარკვეული სიურპრიზი უნდა შევთავაზოთ.

— როგორ ფიქრობთ, რა ანგარიშით დასრულდება მატჩი?

— შარშან „ლიონმა“ 3:0 მოიგო და წლეულსაც ძალიან დაძაბული მატჩი იქნება. ანგარიშის გამოცნობა ყოველთვის ძნელია, მაგრამ გარწმუნებთ, „უერლანზე“ წასაგებად არ ვბრუნდები. ფრანგულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ და ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ, რათა არ წავაგოთ. მეტოქე თავიდანვე ისეთ შოკში უნდა ჩავაგდოთ, რომლისგანაც მატჩის ბოლომდე ვერც გამოვა.

— ესაუბრეთ თქვენს ყოფილ მწვრთნელს ან ექსთანაგუნდელებს?

— რამდენიმე მესიჯი გავგზავნე, მაგრამ არა მატჩის შესახებ. „ლიონში“ არაერთი კარგი მეგობარი მყავს... ვიმეორებ, თამაშზე არ გვისაუბრია.

— „ლევანტესთან“ თქვენი თამაშით კმაყოფილი ხართ?

— დაცვა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარია, გუნდმა მოიგოს და ეს ასეც მოხდა. წინ, ფაქტობრივად, მთელი სეზონია და ჯერ საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ ჩემი თამაშით არც უკმაყოფილო დავრჩი. „ლევანტემ“ ერთი გოლი გაგვიტანა, რაც უნდა გავაანალიზოთ და მომავალში იგივე შეცდომა არ დავუშვათ.

— უკვე რამდენიმე კვირაა, მადრიდში ცხოვრობთ, როგორ მოგწონთ ქალაქი?

— ბრწყინვალე, ძალიან ლამაზი ქალაქია და შესაშინვი ხალხიც ცხოვრობს. ჯერ ბევრის ნახვა და მადრიდის კარგად დათვალიერება ვერ მოვახერხე, მაგრამ რაც ვნახე, შთამბეჭდავია.

— თქვენი აზრით, როგორ დაგვხდებიან „ლიონის“ ფანები?

— არ ვიცი, ეს ფეხბურთია. იქ ოთხი წელი გავატარე და ზოგი ეგებ ოვაციებით შემეგებოს, ზოგიც ნაწყენი დამხვდეს. მე მატჩზე უნდა მოვახდინო კონცენტრირება და არა რაიმე სხვაზე.

— როგორ უნდა ითამაშოს „რეალმა“, ეს მატჩი რომ მოიგოს?

— გუნდი მაქსიმალურად შეკრული და შემართული უნდა იყოს. ეს ჩვენი მთავარი იარაღი იქნება. „ლიონი“ ძლიერი და სწრაფი გუნდია, რომელთანაც შეცდომების დაშვების უფლება არ გვაქვს. რა თქმა უნდა, იღბალიც საჭიროა.

— შეუძლია „რეალს“ ჩემპიონთა ლიგის მოგება?

— რა თქმა უნდა, შეგვიძლია! ფეხბურთში ყველაფერი ხდება, შანსი ყველას აქვს. მით უმეტეს, „რეალს“. სწორი მიდგომით და თამაშით ჩვენი შანსები ძალიან დიდი იქნება.

— და ბოლოს: ფაბიო კაპელო თუ ჟერარ ულიე?

— ორივე კარგი მწვრთნელია, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან. უპირატესობას კაპელოს მივანიჭებდი. როცა პატარა ვიყავი, მას ტელევიზორში ვუყურებდი და ყოველთვის ვაფასებდი. იგი ძალიან ძლიერი სპეციალისტია.

არაგონელი

ჯაჯღანამ დარჩენა გადაწყვიტა



გუშინ გაუწყეთ, ლუის არაგონესი ესპანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დარჩენა-არდარჩენაზე ფიქრობსო და ისიც ვთქვით, რომ მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. როგორც ჩანს, 68 წლის ტაქტიკოსს გადაწყვეტილების მიღება არ გასჭირვებია — ერთი დღე იფიქრა და, ვრჩებიო, განაცხადა.

მსოფლიოს ჩემპიონატიდან ნაადრევად გამოვარდნას ახლა ჩრდილოეთ ირლანდიასთან პირინეელთა სენსაციური მარცხიც დაერთო. ესპანურმა პრესამ ამის მერე რთული ხასიათით ცნობილი არაგონესი გვარიანად გამოლანძღა და მისი გადადგომა ითხოვა. გამოცდილი მწვრთნელი წასვლას აპირებდა, მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მას უარი უთხრა და სრული ნდობა გამოუცხადა.

„ამ საკითხზე ვიფიქრე და საბოლოოდ დარჩენა გადავწყვიტე“ — მოკლედ განაცხადა არაგონესმა, რომელსაც ესპანეთის ნაკრების ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე გაყვანა ევალება და კიდევ ერთ წაბორძიკებას, ალბათ, აღარ აპატიებენ.

ძოკი კანდელაკი

საფრანგეთი

II დივიზიონი. VII ტური

სტრასბური 2:0 შატორუ

გრენობლი	7	5	1	1	13:8	16
მეცი	7	5	1	1	8:3	16
კაენი	7	4	3	0	11:5	15
რეიმსი	7	4	1	2	9:3	13
სტრასბური	7	3	3	1	8:3	12
შატორუ	7	3	3	1	13:10	12
ლე ავრი	7	3	3	1	12:9	12
ბასტია	7	3	2	2	13:11	11
დიჟონი	7	2	4	1	6:6	10
გენიონი	7	3	1	3	8:10	10
ნიორი	7	2	3	2	7:8	9
ისტრი	7	2	3	2	6:11	9
აიაჩო	7	1	4	2	7:7	7
ლიბურნი	7	2	1	4	9:11	7
ამიენი	7	2	1	4	8:10	7
გენგამი	7	1	2	4	8:8	5
ტურსი	7	1	2	4	5:11	5
კრეტეი	7	0	4	3	4:9	4
მონპელიე	7	1	1	5	7:13	4
ბრესტი	7	0	3	4	5:11	3

იტალია

სერია B. I ტური

სპეცია 1:1 ჩეზენა

ნაპოლი	1	1	0	0	4:2	3
ლეჩე	1	1	0	0	3:1	3
ბრეშა	1	1	0	0	2:0	3
კროტონე	1	1	0	0	3:2	3
ჯენოა	1	1	0	0	2:1	3
ბოლონია	1	1	0	0	1:0	3
ვერონა	1	1	0	0	1:0	3
ტრიესტინა	1	1	0	0	1:0	3
მანტოვა	1	0	1	0	1:1	1
რიმინი	1	0	1	0	1:1	1
სპეცია	1	0	1	0	1:1	1
ჩეზენა	1	0	1	0	1:1	1
ბარი	1	0	0	1	2:3	0
ვიჩენცა	1	0	0	1	1:2	0
მოდენა	1	0	0	1	0:1	0
პესკარა	1	0	0	1	0:1	0
ფროზინონე	1	0	0	1	0:1	0
ტრევიზო	1	0	0	1	2:4	0
ალბინოლეფე	1	0	0	1	1:3	0
პიაჩენცა	1	0	0	1	0:2	0
არეცო	1	0	1	0	1:1	-6
იუვენტუსი	1	0	1	0	1:1	-16

პორტუგალია

სუპერლიგა. II ტური

ლეირია 2:2 ბეირა მარი

0:1 მაგალაეში (28), 0:2 მატოში (66), 1:2 ალკარასი (81ს.კ.), 2:2 ბონფიმი (88პ)

პორტუ	2	2	0	0	5:1	6
ნავალი	2	2	0	0	4:1	6
სპორტინგი	2	2	0	0	4:2	6
ბრაგა	2	2	0	0	3:1	6
ბოავიშტა	2	1	0	1	5:3	3
ბელენენსეში	1	1	0	0	2:0	3
ფერეირა	2	1	0	1	3:3	3
მარიტიმუ	2	1	0	1	2:2	3
ბეირა მარი	2	0	2	0	4:4	2
ლეირია	2	0	1	1	3:4	1
ავეში	2	0	1	1	2:3	1
აკადემიკა	2	0	1	1	2:3	1
სეტუბალი	2	0	1	1	1:3	1
ნასიონალი	2	0	0	2	0:2	0
ბენფიკა	1	0	0	1	0:3	0
ამადორა	2	0	0	2	0:5	0

ინგლისი

პრემიერლიგა. IV ტური

რედინგი 1:0 მანჩესტერი სიტი

1:0 ინგიმარსონი (23)

მანჩესტერი	4	4	0	0	11:2	12
პორტსმუთი	4	3	1	0	8:0	10
ევერტონი	4	3	1	0	8:2	10
ჩელსი	4	3	0	1	8:3	9
ასტონ ვილა	4	2	2	0	6:3	8
ბოლტონი	4	2	1	1	4:3	7
ფულემი	4	2	1	1	5:7	7
რედინგი	4	2	0	2	5:5	6
ვესტ ჰემი	4	1	2	1	6:5	5
ლივერპული	3	1	1	1	3:5	4
სიტი	4	1	1	2	1:4	4
მიდლსბრო	4	1	1	2	5:9	4
უიგანი	3	1	0	2	2:3	3
ნიუკასლი	3	1	0	2	3:5	3
ტოტენჰემი	4	1	0	3	2:5	3
ჩარლტონი	4	1	0	3	4:8	3
არსენალი	3	0	2	1	2:3	2
შეფილდი	4	0	2	2	1:4	2
ბლეკბერნი	4	0	2	2	1:6	2
უოტფორდი	4	0	1	3	3:6	1

ნორვეგია

ტიპელიგა. XIX ტური

სტაბეკი 1:2 ბრანი

ბრანი	19	11	4	4	29:19	37
რუსენბორგი	19	10	6	3	30:18	36
ლილესტრიომი	19	9	6	4	33:25	33
ვოლერენგა	19	8	4	7	30:24	28
სტაბეკი	19	7	7	5	28:22	28
ოდ გრენლანდი	19	7	7	5	27:24	28
ლინი	19	8	4	7	25:24	28
სტარტი	19	7	6	6	20:23	27
ჰამ კამი	19	6	4	9	30:28	22
სანდეფიორდი	19	6	4	9	24:33	22
ფრედრიკსტადი	19	5	6	8	27:35	21
მიოლდე	19	6	2	11	21:31	20
ტრომსიო	19	4	5	10	22:30	17
ვიკინგი	19	4	5	10	17:27	17

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. VI ტური

ბრნო 2:1 ბანიკი

ბოლესლავი	6	5	1	0	11:2	16
ლიბერეცი	6	5	1	0	8:0	16
ბრნო	6	3	3	0	4:1	12
პლზენი	6	3	2	1	7:3	11
იაბლონეცი	6	3	2	1	6:5	11
სპარტა	6	3	2	1	5:4	11
ბანიკი	6	3	0	3	10:9	9
სლავია	6	3	0	3	8:7	9
ბუდეიოვიცე	6	2	2	2	4:5	8
მოსტი	6	1	3	2	9:9	6
პრჟიბრამი	6	1	2	3	5:7	5
ტეპლიცე	6	1	2	3	8:11	5
კლადნო	6	1	2	3	3:8	5
ზლინი	6	1	1	4	4:8	4
სლოვაკკო	6	1	0	5	5:10	3
სიგმა	6	0	1	5	3:11	1

შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური

იურგორდენი 0:2 გაის

იორგრიტე 1:2 ჰალმსტადი

იოსტერსი 1:2 გეფლე

აიკ	16	9	5	2	32:16	32
ელფსბორგი	16	8	7	1	29:14	31
ჰამარბი	16	9	2	5	27:20	29
მალმიო	16	8	4	4	29:21	28
გიოტებორგი	16	7	6	3	24:15	27
კალმარი	17	8	2	7	23:19	26
იურგორდენი	16	6	6	4	18:15	24
გეფლე	17	6	4	7	18:25	22
გაის	16	5	5	6	17:20	20
ჰელსინგბორგი	15	4	6	5	21:21	18
ჰალმსტადი	17	4	6	7	13:21	18
ჰეკენი	16	2	6	8	17:27	12
იორგრიტე	17	2	5	10	16:29	11
იოსტერსი	17	2	4	11	12:33	10

რეკლამა

სარბიელ-ში

38-11-14, 877 54 55 00

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		13 სექტემბერი						
22:45	15	ლიდსი-სანდერლენდი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		ინგლისი. II ლიგა						
		13 სექტემბერი						
22:45	60	აირინგტონი-რექსემი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
22:45	70	ტორკი-როვერსი	1.90	3.30	3.55	1.20	1.23	1.71
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		16 სექტემბერი						
18:00	108	სელტიკი-დანფერმლაინი	1.15	6.00	15.00	1.00	1.06	4.28
18:00	110	ფოლკირკი-აბერდინი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
18:00	111	ინვერნესი-დანდი იუნაიტედი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:00	114	სტ.მირენი-კილმარნოკი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
		17 სექტემბერი						
18:00	112	მოზერუელი-ჰართსი	4.50	3.40	1.65	1.93	1.20	1.11
17:00	115	ჰიბერნიანი-რეინჯერსი	4.60	3.40	1.70	1.95	1.24	1.13
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		16 სექტემბერი						
18:00	117	კლაიდი-როსი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	118	დანდი-ქუინი	1.60	3.40	4.70	1.08	1.19	1.97
18:00	119	გრეტნა-ლივინგსტონი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
18:00	120	ჰამილტონი-პარტიკი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
18:00	121	სტ.ჯონსტონი-ერდრი	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		16 სექტემბერი						
18:00	122	ალოა-ეარი	2.60	3.40	2.30	1.47	1.22	1.37
18:00	123	ფორფარი-კოუდენბითი	3.70	3.40	1.75	1.77	1.18	1.15
18:00	124	მორტონი-სტირლინგი	1.60	3.60	4.30	1.10	1.16	1.95
18:00	125	პიტერჰედი-სტრანრარი	2.35	3.30	2.50	1.37	1.21	1.42
18:00	126	რეითი-ბრეჩინი	2.50	3.30	2.35	1.42	1.21	1.37
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		16 სექტემბერი						
18:00	127	ალბიონი-ელგინი	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
18:00	128	დამბარტონი-სტენჰაუზმური	2.55	3.30	2.30	1.43	1.20	1.35
18:00	129	ისტ ფაიფი-ბერიკი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
18:00	130	ისტ სტირლინგი-არბროთი	3.50	3.30	1.90	1.69	1.23	1.20
18:00	131	ქუინზ პარკი-მონტროუზი	2.35	3.30	2.60	1.37	1.23	1.45
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		13 სექტემბერი						
19:30	154	მაგდებურგი-ერფურტი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
21:00	155	დორტმუნდი(მ)-ოსნაბრიუკი	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
21:30	156	ლიუბეკი-ალენი	1.65	3.40	4.20	1.11	1.18	1.87
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		13 სექტემბერი						
21:00	166	ფულენდორფი-კიკერსი	3.10	3.20	2.00	1.57	1.21	1.23
21:00	167	ზაარბრიუკენი-პირმასენსი	1.70	3.50	3.90	1.14	1.18	1.84
21:00	168	ზიგენი-რეუტლინგენი	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
21:30	169	დარმშტადი-ვეენი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		16 სექტემბერი						
19:45	192	ციურიხი-თუნი	1.35	4.00	9.00	1.00	1.17	2.76
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		16 სექტემბერი						
23:45	252	დეპორტივო-ვილიარეალი	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
		17 სექტემბერი						
22:00	250	ბილბაო-ატლეტიკო	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
21:00	251	ესპანიოლი-სელტა	2.40	3.10	2.80	1.35	1.29	1.47
22:00	253	ოსასუნა-ტარაგონა	1.65	3.40	5.10	1.11	1.24	2.03
23:00	254	რეალი-სოსიედადი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
22:00	256	უელვა-ლევანტე	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
20:00	257	სევილია-ბეტისი	1.75	3.30	4.60	1.14	1.26	1.92
22:00	259	ვალენსია-ხეტაფე	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
22:00	260	სარაგოსა-მალიორკა	1.75	3.30	4.60	1.14	1.26	1.92
22:00	261	რასინგი-ბარსელონა	6.50	3.80	1.45	2.39	1.18	1.04

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩეხეთი						
		16 სექტემბერი						
21:00	390	ბანიკი-პლზენი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
21:00	391	ზლინი-პრუიბრამი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
		17 სექტემბერი						
19:00	392	ბუდეიოვიცე-იაბლონეცი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
19:00	393	ბოლესლავი-კლადნო	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
19:00	394	სიგმა-ბრნო	2.30	3.00	2.90	1.30	1.28	1.47
19:00	395	სლავია-სლოვაცკო	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
22:15	396	ლიბერეცი-მოსტი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		18 სექტემბერი						
19:15	397	ტეპლიცე-სპარტა	2.80	3.00	2.40	1.44	1.29	1.33
		სლოვაკეთი						
		15 სექტემბერი						
22:00	398	სინეცი-ტრენჩინი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
		16 სექტემბერი						
17:00	399	ნიტრა-პეტრუალკა	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
22:00	400	რუჟომბეროკი-ბ.ბისტრიცა	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
22:00	401	სლოვანი-ტრნავა	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
22:00	402	ჟუბნიცა-ჟილინა	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
22:00	403	კოშიცე-ინტერი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
		დანია. სუპერლიგა						
		16 სექტემბერი						
19:00	410	ვეილე-სილკებორგი	2.60	3.30	2.50	1.45	1.27	1.42
		17 სექტემბერი						
17:00	411	ვიბორგი-რანდერსი	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
17:00	412	კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი	1.45	3.80	7.00	1.04	1.20	2.46
17:00	413	მიდტიულანდი-ჰორსენსი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
17:00	414	ოლბორგი-ოდენსე	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
20:00	416	ბრიონდბიუ-ესბიერგი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
		დანია. I დივიზიონი						
		13 სექტემბერი						
19:30	418	ბრაბრანდი-კოლდინგი	3.10	3.50	2.00	1.64	1.21	1.27
19:30	419	ფრემადი-ორჰუსი	3.30	3.50	1.90	1.69	1.20	1.23
19:30	420	ტისტედი-კიოგე	3.20	3.40	2.00	1.64	1.23	1.25
21:00	421	ფრედერისია-ჰელერუპი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
21:00	422	ჰერფიოლგე-აკადემისკი	1.85	3.60	3.50	1.22	1.21	1.77
21:00	423	ლიუნგბიუ-იოლსტიკე	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
21:00	424	სიონდერიისკე-ფრემი	1.60	3.70	4.50	1.11	1.18	2.03
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		13 სექტემბერი						
20:00	444	ბოდიო გლიმტი-მანგლერუდი	1.35	4.50	7.50	1.03	1.14	2.81
		შვედეთი. სუპერეტა						
		13 სექტემბერი						
21:00	468	ლიუნგსკილე-იორებრო	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
		აშშ						
		13 სექტემბერი						
23:45	496	ნიუ ინგლენდი-ვაშინგტონი	2.50	3.10	2.45	1.38	1.23	1.36
23:45	497	დალასი-ჩივასი	1.70	3.20	4.30	1.11	1.21	1.83
23:45	498	კოლორადო-ჩიკაგო	2.20	3.10	2.85	1.28	1.24	1.48
		მექსიკა						
		13 სექტემბერი						
23:45	504	ატლასი-ვერაკრუსი	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
23:45	505	ამერიკა-პაჩუკა	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
23:45	506	მორელია-სანტოსი	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99
23:45	507	ნეკახა-ატლანტე	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:45	508	პუმასი-მონტერეი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
23:45	509	ტიგრესი-ხაგუარესი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:45	510	ტეკოსი-კრუს ასული	2.50	3.20	2.40	1.40	1.22	1.37
23:45	511	კერეტარო-ჩივასი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	512	სან ლუისი-ტოლუკა	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
		ჩემპიონთა ლიგა						
		13 სექტემბერი						
22:45	559	დინამო კ-სტიაუა	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	560	ლიონი-რეალი	2.40	3.10	2.85	1.35	1.30	1.48
22:45	561	მანჩესტერი-სელტიკი	1.33	4.30	9.00	1.01	1.15	2.90
22:45	562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
22:45	563	პორტუ-ცსკა(მ)	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
22:45	564	ჰამბურგი-არსენალი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
22:45	565	ანდერლეხტი-ლილი	2.55	3.10	2.65	1.39	1.29	1.42
22:45	566	მილანი-აეკ	1.15	6.00	16.00	1.00	1.07	4.36
		უეფას თასი						
		14 სექტემბერი						
17:30	567	რუბინი-პარმა	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
22:30	568	მაკაბი ჰ-ლიტექსი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:55	569	ლევადია-ნიუკასლი	7.50	3.70	1.40	2.47	1.17	1.01
19:00	570	ჰერტა-ოდენსე	1.40	3.90	7.50	1.03	1.17	2.56
19:30	571	ლეგია-აუსტრია	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
20:00	572	ჩერნომორეცი-ჰაპოელი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
20:00	573	ეთნიკოსი-ლანსი	4.70	3.40	1.65	1.97	1.22	1.11
20:00	574	ქსანთი-დინამო(ბქ)	2.40	2.90	2.75	1.31	1.28	1.41
20:15	575	სტარტი-აიაქსი	5.50	3.40	1.55	2.10	1.20	1.06
20:15	576	ლოკომოტივი(მ)-ზ ვარეგემი	1.30	4.00	9.00	1.00	1.13	2.76
20:45	577	პეტრუალკა-ესპანიოლი	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
19:30	578	ლიბერეცი-ცრვენა ზვეზდა	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
20:45	579	ბეშიქთაში-ცსკა(ბულ)	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
21:00	580	შალკე-ნანსი	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
21:00	581	რაპიდი(ბ)-ნასიონალი	1.60	3.40	5.20	1.08	1.22	2.05
21:00	582	ტრაბზონი-ოსასუნა	2.40	3.00	2.75	1.33	1.28	1.43
21:00	583	პარტიზანი-ბრონიგენი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
21:30	584	ატვიდაბერგი-გრასჰოპერი	5.30	3.60	1.55	2.14	1.19	1.08
22:00	585	ბახელი-რაბოტნიკი	1.22	5.00	10.00	1.00	1.08	3.33
22:00	586	ალკმაარი-კაისერი	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
22:00	587	დერი-პსუ	7.30	3.70	1.40	2.45	1.17	1.01
22:00	588	სლავია-ტოტენჰემი	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
22:05	589	მოლდე-რეინჯერსი	3.65	3.30	1.90	1.73	1.24	1.20
22:15	590	დინამო ზ-ოსერი	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
22:15	591	ლოკომოტივი ბ-ფეიენოორდი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
22:30	592	სიონი-ლევერკუზენი	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19
22:30	593	ვისლა-ირაკლისი	1.55	3.40	5.30	1.06	1.19	2.07
22:45	594	პანათინაიკოსი-მეტალურგი(ზ)	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:30	595	სტანდარდი-სელტა	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	596	ჰართსი-სპარტა	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
22:45	597	ფენერბაჰჩე-რანდერსი	1.08	7.50	15.00	1.00	1.00	5.10
22:45	598	ლივორნო-პაშინგი	1.53	3.50	5.50	1.06	1.30	3.40
22:45	599	რუკომბეროკი-ბრიუგე	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
23:00	600	ვესტ ჰემი-პალერმო	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
22:45	601	აინტრახტი-ბრიონდბიუ	1.75	3.30	4.30	1.14	1.24	1.86
22:45	602	მარსელი-ბოლესლავი	1.30	4.30	8.00	1.00	1.11	2.79
22:45	603	ზალცბურგი-ბლექბერნი	2.40	3.10	2.75	1.35	1.28	1.45
23:00	604	ატრომიტოსი-სევილია	6.50	3.80	1.45	2.39	1.18	1.04
22:00	605	ბრაგა-კიევი	2.30	3.00	2.90	1.30	1.28	1.47
23:45	606	სეტუბალი-ჰერენვენი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		ჰოკეი. ფინეთი						
		14 სექტემბერი						
19:30	703	კერპეტი-ჰაამეენლინა	1.80	4.10	2.70	1.25	1.08	1.62
19:30	704	ჰელიკანსი-ესპოო	2.25	4.00	2.10	1.44	1.08	1.37
19:30	705	ლუკო-ესეტი	1.65	4.20	3.10	1.18	1.07	1.78
19:30	706	ტურკუ-სეიპა	1.50	4.40	3.60	1.11	1.05	1.98
19:30	707	ჰელსინკი-იოკერიტი	2.25	4.00	2.10	1.44	1.08	1.37
19:30	708	ილვესი-ტაპარა	2.10	4.00	2.20	1.37	1.07	1.41
19:30	709	იუვესკიულე-კალპა	1.55	4.40	3.60	1.14	1.08	1.98
		ჰოკეი. გერმანია						
		14 სექტემბერი						
21:30	758	ნიურნბერგი-ინგოლშტადი	2.00	4.20	2.30	1.35	1.06	1.48
		15 სექტემბერი						
21:30	752	კიოლნი-მანჰაიმი	1.95	4.20	2.40	1.33	1.07	1.52
21:30	753	სტრაუბინგი-კრეფელდი	2.10	4.10	2.25	1.38	1.08	1.45
21:30	754	დუისბურგი-დიუსელდორფი	2.25	4.20	2.10	1.46	1.08	1.39
21:30	755	აისბარენი-იხერლონი	1.45	4.50	4.00	1.09	1.06	2.11
21:30	756	ფრანკფურტი-აუგსბურგი	1.65	4.30	3.00	1.19	1.06	1.76
21:30	757	ჰანოვერი-ჰამბურგი	1.90	4.20	2.40	1.30	1.06	1.52
		ჰოკეი. რუსეთი						
		13 სექტემბერი						
15:30	786	სიბირი-ნოვოკუზნეცკი	1.60	4.40	3.20	1.17	1.06	1.85
		სამხრეთ ამერიკის თასი						
		13 სექტემბერი						
23:45	613	ატლეტიკო პრ-პარანა	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:45	614	კორინთიანსი-ვასკუ და გამა	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72
23:45	615	კრუზეირო-სანტოსი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
23:45	616	ფლუმინენსე-ბოტაფოგო	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10559	დინამო კ-სტიაუა	2.15	2.00	4.85	1.03	1.48	1.41
10560	ლიონი-რეალი	2.80	2.00	3.25	1.16	1.50	1.23
10561	მანჩესტერი-სელტიკი	1.60	2.50	7.00	1.00	1.30	1.84
10562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	3.10	2.00	2.90	1.21	1.49	1.18
10563	პორტუ-ცსკა(მ)	2.20	2.00	4.60	1.04	1.48	1.39
10564	ჰამბურგი-არსენალი	3.10	2.00	2.90	1.21	1.49	1.18
10565	ანდერლეხტი-ლილი	2.95	2.00	3.10	1.19	1.51	1.21
10566	მილანი-აეკ	1.32	3.10	11.00	1.00	1.17	2.41

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11559	დინამო კ-სტიაუა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11560	ლიონი-რეალი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11561	მანჩესტერი-სელტიკი	1.60	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11563	პორტუ-ცსკა(მ)	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11564	ჰამბურგი-არსენალი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11565	ანდერლეხტი-ლილი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11566	მილანი-აეკ	1.35	15.00	40.00	3.50	6.00	17.00	25.00	17.00	17.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12559	დინამო კ-სტიაუა	1.60	2.00
12560	ლიონი-რეალი	1.70	1.90
12561	მანჩესტერი-სელტიკი	1.90	1.65
12562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	1.60	2.00
12563	პორტუ-ცსკა(მ)	1.55	2.10
12564	ჰამბურგი-არსენალი	1.60	2.00
12565	ანდერლეხტი-ლილი	1.60	2.00
12566	მილანი-აეკ	2.00	1.60

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13559	დინამო კ-სტიაუა	1.80	1.80
13560	ლიონი-რეალი	1.60	2.00
13561	მანჩესტერი-სელტიკი	1.80	1.80
13562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	1.70	1.90
13563	პორტუ-ცსკა(მ)	1.70	1.90
13564	ჰამბურგი-არსენალი	1.70	1.90
13565	ანდერლეხტი-ლილი	1.80	1.80
13566	მილანი-აეკ	2.10	1.55

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი დაბრუნდა ჩაითვლება)

14559	დინამო კ-სტიაუა	1.45	2.40
14560	ლიონი-რეალი	1.80	1.90
14561	მანჩესტერი-სელტიკი	1.05	2.90
14562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	1.80	1.80
14563	პორტუ-ცსკა(მ)	1.55	2.30
14564	ჰამბურგი-არსენალი	1.80	1.80
14565	ანდერლეხტი-ლილი	1.80	1.80

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15559	დინამო კ-სტიაუა	3.00	2.80	2.00
15560	ლიონი-რეალი	3.00	2.80	2.00
15561	მანჩესტერი-სელტიკი	3.00	2.80	2.00
15562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	3.00	2.80	2.00
15563	პორტუ-ცსკა(მ)	3.00	2.80	2.00
15564	ჰამბურგი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15565	ანდერლეხტი-ლილი	3.00	2.80	2.00
15566	მილანი-აეკ	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16559	დინამო კ-სტიაუა	1.30	2.80
16560	ლიონი-რეალი	1.65	1.90
16561	მანჩესტერი-სელტიკი	1.08	5.00
16562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	1.85	1.75
16563	პორტუ-ცსკა(მ)	1.30	2.80
16564	ჰამბურგი-არსენალი	1.85	1.75
16565	ანდერლეხტი-ლილი	1.75	1.85

გოლი:წაგები-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წაგებულად)

17559	დინამო კ-სტიაუა	1.85	1.95
17560	ლიონი-რეალი	1.85	1.95
17561	მანჩესტერი-სელტიკი	1.85	1.95
17562	კოპენჰაგენი-ბენფიკა	1.85	1.95
17563	პორტუ-ცსკა(მ)	1.85	1.95
17564	ჰამბურგი-არსენალი	1.85	1.95
17565	ანდერლეხტი-ლილი	1.85	1.95
17566	მილანი-აეკ	1.85	1.95

ვითა ვითარცა ვიტა

ფოტო: ალექსანდრე ბერიძის

„ვიტა“ ნიშნავს სიცოცხლეს და არ შეიძლება, ამ სახელის მქონე გუნდი მოკვდეს, აღარ იარსებოს — გვითხრა იმ ძველი უძლეველი „ვითას“ სულისჩამდგმელმა, ქართულ კალათბურთში ერთ დროს ყველაზე ავტორიტეტულმა და გავლენიანმა ადამიანმა, თემურ დათიკაშვილმა, რომლის გუნდსაც საქართველოში 7 წელი კონკურენტი არ ჰყავდა. დიახ, საქართველოს ჩემპიონატს ახალი, უფრო სწორად, განახლებული „ვითა“ უბრუნდება, რომელმაც 5 წლის წინ შეწყვიტა არსებობა და ახლაღა დაიწყო აღორძინება. წლების მანძილზე „ვითა“ წარმოადგენდა ქართული კალათბურთის სახეს და მისი განახლება ახალი ბიძგი იქნება ქართული საკლუბო კალათბურთისთვის. „ვითა“ არ იქმნება იმისთვის, რომ მხოლოდ საკუთარი სახელი და არსებობა დააფიქსიროს — დათიკაშვილს, როგორც სჩვევია, შორს მიმავალი გეგმები აქვს და ძლიერი გუნდის შენებას იწყებს. თემურ დათიკაშვილი ახლა რუსთავის „აზოტის“ ვიცე-პრეზიდენტია და წლების მანძილზე ძველ „ვითაში“ დაგროვილ გამოცდილებას ამ ქვემოქართლურ გუნდს ახმარს, რათა რუსთაველელს დიდი ხნის ოცნება აუხდინოს

— მე პირდაპირ ვეუბნები „აზოტის“ ხელმძღვანელობას, რომ თუ ჩემპიონობა უნდათ, ახლა მოიპოვონ, რადგან ამ სეზონის მერე მათ ამის საშუალება აღარ ექნებათ — გვითხრა *თემურ დათიკაშვილმა*.

— რატომ აღარ ექნებათ მომავალში ჩემპიონობის შანსი?

— იმიტომ, რომ ჩემპიონი და საერთოდ, ქართული საკლუბო კალათბურთის ლიდერი ისევ „ვითა“ იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე ამის იმედი მაქვს და მიზნის მისაღწევად არაფერს დავიშურებ.

— ესე იგი „ვითა“ მართლა იქნება?

— იქმნება და ამ ჩემპიონატში, რომელიც 6 ოქტომბერს იწყება, მონაწილეობას მიიღებს. თუმც ამ სეზონში ჩვენ ამბიცია არ გვექნება, ახალგაზრდულ გუნდს ვაკეთებთ. აი, მერე უკვე სერიოზული გუნდის შეკვრას ვგეგმავთ, რომელიც, ძველი „ვითას“ მსგავსად, ევროპაშიც იტყვის თავის სიტყვას.

— კარგი გუნდის შექმნას ერთი სეზონი ეყოფა? „ვითას“ ხომ ახლა, ფაქტობრივად, არაფერი აქვს...

— ჩვენ ერთწლიანი და ორწლიანი გეგმა არ გვაქვს. ის კი არ გვინდა, რომ გუნდი გავაკეთოთ, ძლიერი მოთამაშეები შევკრიბოთ, ჩემპიონები გავხდეთ და მერე დავიშალოთ. ამის მაგალითი ქართულ კალათბურთში არაერთია და ისეთი გუნდები, რომლებსაც მყარი ბაზა და შორსმიმავალი გეგმები არ აქვთ, ახლაც თამაშობენ ჩემპიონატში. მე და ჩემი მეგობრები ვაპირებთ საკალათბურთო სკოლის გახსნას, დარბაზის აშენებას და გამართული ინფრასტრუქტურის მოწყობას. ეს არაა ლიტონი სიტყვები, გეგმა უკვე შედგენილია, მაგრამ წინასწარ ამაზე ლაპარაკი არ მინდა. იმას კი გეტყვით, რომ დიდ დიღომში უკვე შევიგულეთ ტერიტორია და ამერიკაში კონტაქტებიც დავამყარეთ იმის თაობაზე, რომ ასაწყობი სტანდარტული დარბაზი ჩამოვიტანოთ, თავისი ტრიბუნებითა და ყველანაირი მოწყობილობით.

— ამ საქმეს, ალბათ, დიდი ფინანსები სჭირდება და მზად ხართ ამისთვის?

— მოგეხსენებათ, კალათბურთი არაა მომგებიანი სპორტი. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასეა და თუ რამის გაკეთება გინდა, საკუთარი ჯიბის იმედზე უნდა იყო. სახელმწიფო არასდროს ეხმარებოდა კლუბებს და „ვითას“ მე და ჩემი მეგობრები ვინახავდით. ის კი არა, ნაკრებისთვისაც ჩვენ ვიღებდით ხარჯებს, როცა ეროვნული გუნდის შენახვა სახელმწიფოს მოვალეობაა.

— ახლა ამ მხრივ რა შედარებაა, სახელმწიფო ასაკობრივ ნაკრებებს შეძლებისდაგვარად ყველანაირად ეხმარება...

— ეს ახლა, მაგრამ დამოუკიდებლობის პირველ წლებში სპორტისთვის არავის ეცალა. სუპერლიგის შექმნას, წლეულს რომ მოხერხდა, ჩვენ ჯერ კიდევ 1994 წელს ვგეგმავდით. წესდება შედგენილი გვქონდა, ყველაფერი მზად იყო, მაგრამ მაშინდელმა სპორტის ხელმძღვანელობამ მხარი არ დაგვიჭირა. სწორედ იმ წელს შექმნეს რუსეთში სუპერლიგა, რომელიც ჩვენი ვარიანტის ანალოგიური იყო და რომლის დაფუძნებასაც პირადად ვესწრებოდი. მაშინ ვაპირებდით, „ვითას“ რუსეთის სუპერლიგაში ეთამაშა და მის დამფუძნებელ ყრილობაზეც კი ჩავედით, მაგრამ ისევ შიდაწინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა.

— ახლა საქართველოშიც რომ იქმნება სუპერლიგა, „ვითას“ აღორძინება ამიტომ ხომ არ გადაწყვიტეთ?

— არა, თუმც სუპერლიგის შექმნა გვარიანი სტიმული იყო „ვითას“ ხელმძღვანელებისთვის. მომავალ ოქტომბერს სრულდება ათი წლისთავი იმ ჯადოსნური მატჩიდან, რომელშიც „ვითამ“ უნგრული „კიორმენდი“ სასწაულებრივად დაამარცხა. მიხარია, რომ ჩვენი გუნდის განახლება ამ თარიღს ემთხვევა.

— ვინ იქნება გუნდის მწვრთნელი, ან მოთამაშეებს საიდან შეკრიბავთ ასე მალე? ფედერაციაში ჩემპიონატში სამონაწილეო განაცხადი თუ შეიტანეთ?

— გუნდს ძველი ვითელი, მიხეილ კობეშავიძე გაწვრთნის. მეც მის გვერდით ვიქნები და ახალგაზრდების მომზადებაში უშუალო მონაწილეობას მივიღებ. როგორც გითხარით, ამ ეტაპზე მთლიანად ახალგაზრდული გუნდი გვეყოლება — ბირთვი კადეტთა ნაკრების ბიჭებისგან შედგება, ანუ იმ ახალგაზრდებისგან, რომლებიც ახლა ყველაზე პერსპექტიულად ითვლებიან. ჩემპიონატში სამონაწილეო განაცხადი ჯერ არ შეგვიტანია, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. სუპერლიგა, მოგეხსენებათ, ფინანსურად ძლიერი გუნდების შეკვრა იქნება და თუ მასში მონაწილეობის მსურველი გამოჩდა, უარს როგორ ეტყვიან. ვიცი, რომ ჯერჯერობით 5 გუნდია მზად სუპერლიგაში სათამაშოდ. ახლა ისრაელში მივდივარ და იქიდან რომ დავბრუნდები, ამ ფორმალობასაც მოვაგვარებ.

— „ვითა“ და უამბიციო — ცოტა უცნაურად ჟღერს...

— ამ ეტაპზე ასეა საჭირო. გვსურს, რომ ოფიციალურად აღვიდგინოთ საკუთარი სახელი, ხოლო მომავალი სეზონიდან, ერთხელაც შევახსენებ პირველობის მსურველ გუნდებს, რომ საქართველოს, როგორც ძველად, ერთი ჩემპიონი ეყოლება — თბილისის „ვითა“. სხვათა შორის, ევროპულ კალათბურთში თითებზე ჩამოსათვლელია გუნდები, რომლებიც მინიმუმ 7-ჯერ მიჯრით გამხდარან ჩემპიონები. ისრაელის „მაკაბი“, კიევის „ბუდეველნიკი“, ლიუბლიანის „ოლიმპია“, თბილისის „ვითა“ და, ალბათ, კიდევ თითო-ოროლა გუნდია, რომლებსაც ეს მოუხერხებიათ. „ვითა“ ძველ ძალას და სახელს აუცილებლად დაიბრუნებს.

ირაკლი პერტაია

პაუ გასოლი დაპოთხეს

AFP

რამდენიმე დღის წინ იაპონიაში დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის გმირმა და საუკეთესო მოთამაშემ, ესპანელმა პაუ გასოლმა ტერფზე ოპერაცია გაიკეთა და სულ ცოტა 4 თვე ვერ შეძლებს თამაშს. სავარაუდოდ, ის ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში 2 თვეს გამოტოვებს და 2007 წლის იანვრიდან შეუერთდება „მემფის გრიზლიზს“, რომლის გაუსაჩივრებლად საუკეთესო მოთამაშეც ის 2001 წლიდან გახლავთ.

გასოლმა ტერფის ერთ-ერთი ძვალი მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, არგენტინასთან ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების ბოლო წუთებზე გაიტეხა და ამის გამო საბერძნეთთან ფინალური ჯახის გამოტოვება მოუხდა, მაგრამ მისმა გუნდმა ლიდერის გარეშეც აჯობა მეტოქეს და პირველი დიდი ტიტული მოიპოვა, ხოლო პაუ გასოლი 8 თამაშში საშუალოდ მოგროვილი 21,3 ქულის, 9,4 მოხსნისა და 2,4 დაფარების გათვალისწინებით, ტურნირის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს.

26 წლის გასოლი საზოგადოდ კერკეტ მოთამაშედ ითვლებოდა, არასდროს არაფერი მოუტეხია, მხოლოდ წვრილმან ტრავმებს თუ უჩიოდა, რომელთაგან ერთ-ერთმა 2005 წლის ევროპის ჩემპიონატი გამოტოვებინა. ახლა დასტაქრები იმედოვნებენ, რომ პაუ რეგულარული ჩემპიონატის მხოლოდ ერთ მესამედს გამოტოვებს და თავის გუნდს პლეი ოფში ზედიზედ მეხუთედ გასვლაში დაეხმარება.

„ოპერაციამ ძალიან კარგად ჩაიარა და იმედი გვაქვს, ორკვირიანი სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ პაუ თავს კარგად იგრძნობს“ — ამბობს „მემფისის“ ექიმი ფრედ აზარი.

პაუ გასოლი „მემფისისთვისაც“ იგივეა, რაც ესპანეთის ნაკრებისთვის — ქულა-მოხსნებსაც დაახლოებით თანაბარი ოდენობით უხვეჭს როგორც კლუბს, ასევე ნაკრებს. „მემფისში“ ხუთ სეზონში მან თითქმის 400 მატჩი ჩაატარა (საშუალოდ 18,5 ქულა და 8,4 მოხსნა), ხოლო ამ ხუთიდან საუკეთესო ბოლო იყო, რომელშიც გასოლი 20,4 ქულას, 8,9 მოხსნას და 4,6 პასს იხვეჭდა და ყველა ვარსკვლავის შოუმატჩში პირველადაც ითამაშა.

კოტე ყორშია

AFP

ბაჩარა დოლუნაიშვილის ფოტო

ლევან ბაღდავაძე და დავით ლანჩავა

პრც ერთი სეტი

ბორჯომის თასი წვიმით დასველდა

დილმის კორტების სატურნირო ნათლობა ერთი დღით გადაიდო. „ბორჯომის თასის“ პირველი წრის თამაშები გუშინ დილიდან უნდა დაწყებულიყო და თავდაპირველი გეგმით, საღამომდე სანახევროდაც უნდა გალეულიყო, მაგრამ დღემ ისე ჩაიარა, ჩამთავრებული თამაში კი არა, სეტიც ვერ ვნახეთ.

კოკისპირული წვიმის გამო განრიგი ბარე ოთხჯერ შეიცვალა. პირველი შეხვედრების დაწყების დრომ ჯერ იყო და თორმეტი საათისთვის გადაიწია, შემდეგ ორის ნახევრისთვის, ოთხისთვის და ხუთისთვის... ნაშუადღევს ცა ოდნავ მოიწმინდა, კორტები სწრაფადვე მოაშრეს და ჩოგბურთელებს მოსათელადაც უხმეს, მაგრამ მორიგი იმედი თხუთმეტიოდე წუთში გადაიწურა.

გოგონებმა ჩოგნები ისევ დააშალითეს და იმავე კაფეს შეაფარეს თავი, დილის წვიმისას რომ ისხდნენ. იქვე გაატარეს მთელი დღე, ლამის სამჯერადი გამოკვებაც მოასწრეს, მუსიკის მოსმენაც და წიგნის კითხვაც. პოსტსაბჭოთა სივრცის შვილებმა ერთმანეთში საერთო ენა მალევე გამონახეს. ძირითადი ბადის ოცდათორმეტი მონაწილიდან ოცდათერთმეტი სწორედ ასეთია. განმარტოებით მხოლოდ შატუხა ინდოელი პრერანა-მითრი აპინენი იჯდა, თანაც ისეთი შეწუხებული, ამინდის გაფუჭებას ყველაზე მეტად, მგონი, მისი ხასიათი წაეხდინა.

ჟურნალისტებს კი საქმე მაინც გამოგვიჩნდა. სამი საათისთვის „ბორჯომის თასის“ ორგანიზატორებმა სასტუმრო „იან ჰომერის“ საპრესკონფერენციო დარბაზში გვიხმეს. მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ლევან ბაღდავაძემ კომპანია „ქართული ჩოგბურთის“ პრეზიდენტს დავით ლანჩავას ახალი კომპლექსის აშენებისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლოდ საპრიზო ფონდის მომატებაზე ჩამოაგდო სიტყვა:

„ათ წელზე მეტია, ჩოგბურთის ფედერაციასთან ვთანამშრომლობთ და „ბორჯომის თასმა“ უკვე ტრადიციული სახე მიიღო. 10 000-დოლარიანი საპრიზო ფონდი ამ დონის კომპლექსისთვის ალბათ ცოტა მოკრძალებულია. „იან ჰომერი“ აშკარად მეტს იმსახურებს და ამას აუცილებლად გავითვალისწინებთ. თავის დროზე ჩვენს ტურნირზე პეტროვას, დემენტიევასა და მისკინას უთამაშიათ. მჯერა, კიდევ ბევრი მომავლის ვარსკვლავი ჩამოვა და ქართველებიც დაადგებიან წარმატებულ გზას“.

საპრიზო ფონდის გაზრდას „ქართული ჩოგბურთის“ თავკაციც შეეხო.

დავით ლანჩავა: „სულ სამი თვეა, რაც ჩოგბურთში მოვედით და ასე უცებ ტურნირების საპრიზო ფონდის გაზრდა შეუძლებელი იყო. კალენდარი ერთი წლით ადრე დგება და სამომავალწლო თადარიგი აქედანვე უნდა დავიჭიროთ. კონკრეტულ ციფრებზე საუბარი ძალიან ძნელია, ზოგადად კი პირობას გაძლევთ, 2007-ში გაცილებით ძლიერ ტურნირს ვუმასპინძლებთ. „ბორჯომის თასის“ შემდეგ კიდევ ერთი 10 000-იანი ტურნირი „იან ჰომერის თასი“ გათამაშდება და იქ აუცილებლად უკეთესი შემადგენლობა მოიყრის თავს. მიზეზი მარტივია, ორ კვირაში ბათუმი უფრო მაღალ საპრიზო ფონდიან შეჯიბრს მასპინძლობს და მასზე თამაშის მსურველთა დიდი წილი ჯერ თბილისში წაითამაშებს“.

ოთარ მაღლაკელიძე

ფედერერის უცხო სიმაღლეები

ესეც სამი და რეკორდიც იჭნება



AFP

სეზონის დასრულებამდე ორ თვეზე მეტი დარჩა და განუმეორებელმა როჯერ ფედერერმა უკვე გაინაღდა 2006 წლის საუკეთესო ჩოგბურთელის წოდება. დიადი შვეიცარიელი 2004 წლის 2 თებერვლიდან უდგას სათავეში ATP-ის კლასიფიკაციას და ალბათ კიდევ დიდხანს იქნება რეიტინგის სათავეში.

ფედერერი ზედიზედ მესამედ დაასრულებს სეზონს პირველი ჩოგნის რანგში. რეიტინგების შემოღების დღიდან, ანუ 1973 წლიდან ასეთი რამ აქამდე მხოლოდ ოთხ ჩოგბურთელს გაუკეთებია — ჯიმი კონორსს ბიორნ ბორგს, ივან ლენდლსა და პიტ სამპრასს და აი, ფედერერი დიადთა ამ კოჰორტას შეუერთდა.

ეს განთესვის რეიტინგს რაც შეეხება და საჩემპიონო რბოლაში კი ფედერერი მალე ახალ რეკორდს დაამყარებს. შეგახსენებთ, რომ განთესვის რეიტინგი ბოლო ერთი წლის, ანუ 365 დღის შედეგებს ითვალისწინებს, ხოლო საჩემპიონო რბოლაში მიმდინარე წლის მაჩვენებლები აღირიცხება. ეს კლასიფიკაცია 2000 წლიდან არსებობს და იმ სეზონში ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა 839 ქულით იპირველა. მერე ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის ჯერი დადგა, რომელმაც 2001 წელი 897 ქულით დაასრულა, ხოლო 2002 წელს 873 ქულით იპირველა. 2003 წლის საჩემპიონო რბოლის სათავეში 907 ქულით ამერიკელი ენდი როდიკი იყო და მერე, უკვე ფედერერის ეპოქა დაიწყო — 2004 წელს „მხიარულმა როჯერმა“ 1267 ქულა დააგროვა, შარშან სარეკორდო მაჩვენებელი 1345 ქულამდე აიყვანა და მიმდინარე სეზონში კი შვეიცარიელის ანგარიშზე უკვე 1324 ქულაა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, შარშანდელ სარეკორდო რეიტინგს ფედერერი აუცილებლად გააუმჯობესებს.

ჰიუიტმა დევისის თასს არ შგანა

AFP

ლეიტონ ჰიუიტი

ეს კვირა არა და მომავალი კვირის ბოლოს, 22-24 სექტემბერს დევისის თასის მატჩები გაიმართება. საქართველოს ნაკრები ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში სტუმრად უნგრეთის გუნდს ეთამაშება და წარმატების შემთხვევაში ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ავა. პარალელურად უმაღლესი, მსოფლიოს ლიგის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება — არგენტინელები ავსტრალიელებს უმასპინძლებენ, ხოლო რუსები — ამერიკელებს.

რუსებიცა და ამერიკელებიც, სავარაუდოდ, უძლიერესი შემადგენლობებით იქნებიან. რუსებს მარატ საფინი, ნიკოლაი დავიდენკო, მიხაილ იუჟნი და დმიტრი ტურსუნოვი ეყოლებათ, ხოლო იანკებს — ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი და ძმები ბობ და მაიკ ბრიანები.

ოპტიმალური შემადგენლობა უნდა ჰყავდეთ არგენტინელებსაც, რომელთაც დავიდ ნალბანდიანისა და გასტონ გაუდიოსი ეიმედებათ. აი, ოზთა საკითხი კი ბოლო დრომდე გაურკვეველი იყო — მათი ლიდერი ლეიტონ ჰიუიტი ფეხს ითრევდა არგენტინაში ჩასვლისგან, აქაოდა უსაფრთხოების გარანტიებს ვერ მაძლევენო, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა თამაში და ავსტრალიელები საუკეთესო შემადგენლობით იქნებიან — ჰიუიტის გარდა არგენტინელთა ძლევას მარკ ფილიპუსისი, უეინ არტურსი და პოლ ჰენლი შეეცდებიან.

ჩახნაშვილი ბორდოში თამაშობს

ბაჩარა დოლუნაიშვილის ფოტო

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი ამ კვირაში საფრანგეთის ქალაქ ბორდოს საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში თამაშობს. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ამ შეჯიბრის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია და მასში WTA-ს კლასიფიკაციის პირველი ასეულის ოთხი ჩოგბურთელი იღებს მონაწილეობას — გერმანელები მარტინა მიულერი (47) და ჯულია შრუფი (55), ფრანგი ემილი ლუა (67) და ჩეხი ევა ბირნეროვა (100).

ჩახნაშვილი თავისი რეიტინგით მონაწილეთა შორის მე-20 ადგილზეა და ბუნებრივია, განთესილი არ იქნება, მაგრამ ტურნირის ძირითად ბაეში აუცილებლად მოხვდება და იმედია, წარმატებითაც ითამაშებს.

ის, რასაც ფულით ვერ იყიდი

მარია შარაპოვამ ორნლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოიგო სლემტურნირი. 17 წლის ასაკში უიმბლდონის მოგების შემდეგ რუსი პრიმასგან ყველა ტრიუმფალურ სვლას ელოდა, მაშა კი ვერაფრით ახერხებდა ბოლო ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ სამიოდე დღის წინ შარაპოვამ მიჯრით დაამარცხა მსოფლიოს პირველ-მეორე ნომრები და ნიუ იორკში ტრიუმფიც მოიწყო. თუმც ჟურნალისტებმა ეს სიხარული ოდნავ ჩაუშხამეს და ხასიათიც გაუფუჭეს მარიას. ამ და სხვა თემების შესახებ კი ქვემოთ

AFP

— ეს გამარჯვება კარგი ანაზღაურებაა გაწეული შრომისთვის?

— კარგი კი არა, დიდებული. იცით, საოცარი იყო თასით ხელში დგომა. ერთი ეგაა, ცოტა ხანი მომიწია, კიდევ დავრჩებოდი და დავტკბებოდი ამ მომენტით. იგივე ორი წლის წინაც გამოვცადე, მაგრამ მაშინ ისე ვერ აღვნიშნე, როგორც საჭირო იყო, რადგანაც ის გამარჯვება შოკს უფრო ჰგავდა.

— დიდი განსხვავებაა პირველ მოგებულ სლემტურნირსა და ახლა განცდილ ემოციებს შორის?

— ახლაც იგივე განცდა მაქვს. აღფრთოვანებული ვარ ამ მოგებით, მაგრამ პირველს მაინც ვერ შევადარებ — ის განსაკუთრებული იყო. ეს გამარჯვება კი დესერტი უფროა. თუმც დესერტი მრავალნაირი შეიძლება იყოს და მინდა, ყველას გემო გავუსინჯო.

— კამერამ დააფიქსირა, რომ მაიკლ ჯოისი (შარაპოვას მწვრთნელი) თითებით რაღაცას განიშნებდათ. წესებით კი თამაშის დროს თქვენს შორის კომუნინიკაცია დაუშვებელია.

— კარგით რა, ხომ გთხოვეთ, დღეს მაინც ნუ დამისვამთ ეგეთ უშნო კითხვებს-მეთქი. იქნებ იმაზეც მკითხოთ, როცა მანიშნებდა შესვენებისას ბანანი ჭამეო.

იცით რა, ახლახან სლემტურნირი მოვიგე და თითები ან კიდევ ბანანი უკანასკნელი თემებია, რომლებზე საუბარიც მსურს.

— თქვენ კორტზე ინტერვიუსას ბილი ჯინ კინგზე საკმაოდ თბილად ისაუბრეთ. გაიცანით ამ ორი კვირის განმავლობაში?

— არა, მხოლოდ ერთხელ ვნახე, მაგრამ კარგად ვიცი, ვინ არის ბილი ჯინი. იუნიორებში თამაშისას ის არაერთხელ ესაუბრა ჩემს მშობლებს ჩემი თამაშის შესახებ და რჩევებიც მისცა. საერთოდ, ის იუნიორებს ძალიან ეხმარება. ამას კი არცთუ ბევრი ძველი ჩემპიონი აკეთებს. ისიც კარგად ვიცი, რომ მის გარეშე ქალთა ჩოგბურთი ამდენად დაფასებული არ იქნებოდა.

— თქვენ თქვით, რომ ჟუსტინ ენენ-არდენის დასამარცხებლად განსხვავებული ტაქტიკის შემუშავება დაგჭირდებოდათ. მასთან წაგებული ოთხი მატჩიდან რა დაგამახსოვრდათ?

— ეს ახალი მატჩი, ახალი შანსი იყო, თანაც სლემტურნირის ფინალში მიწევდა თამაში. ამიტომ ამ დროს სულაც არ მანაღვლებდა ჟუსტინთან ნათამაშები და წაგებული მატჩები. ასეთ ეტაპზე წარსულზე არ ფიქრობ ხოლმე.

— თქვენ რატომღაც ძალიან ნეგატიურად მიიღეთ კითხვა თითებისა და ბანანის შესახებ, რატომ?

— ღმერთო ჩემო, ისევ იმას დაუბრუნდით. ეს ხომ უბრალოდ სასაცილოა. ახალახან აშშ-ს ღია პირველობა მოვიგე, თქვენ კიდევ ბანანების შესახებ მესაუბრებით. მართლა სასაცილოა.

— კი, მაგრამ ასეთი რამ ხომ წესებით აკრძალულია?

— კარგით რა. არაფერს არ მანიშნებდა იმ ოთხი თითით. ეს პერსონალურია და ამაზე საუბარს არ ვაპირებ. ერთი კითხვა მეც უნდა დაგისვათ — შეიძლება, ბანანას ჭამა გამარჯვების მიზეზად იქცეს?

— ალბათ გარკვეულწილად კი.

— მაშინ გეტყვით, რომ თქვენ ჯადოსნური ფორმულა გამოგიგონიათ. ყველა ჩოგბურთელს ვუთხრათ, რომ ბანანი მიირთვან და ყველა ჩემპიონი იქნება.

— გამარჯვების შემდეგ ვის დაურეკეთ?

— ჯერ დედას, მერე კი უახლოეს მეგობარს.

— უკანასკნელ ორ თვეში საუკეთესოები — კიმი (კლაისტერსი), ამელი (მორესმო) და ჟუსტინი დაამრცხეთ. აშკარად მოუმატეთ, არა?

— უხერხული კითხვაა. საკუთარი თავის ქება ჩვეულებად არასოდეს მქონია. მხოლოდ ერთს ვიტყვი — ამ გამარჯვებამ ძალიან კი გამახარა, თუმც ეს არ არის ჩემი მაქსიმუმი. მომატება კიდევ შემიძლია და აუცილებლად მოვუმატებ. ჩემი ამოცანაა, იმაზე უკეთესი მოთამაშე გავხდე, ვიდრე დღეს ვარ.

— ფინალამდე რა მუსიკას უსმენდით?

— დეივ მეტიუზის ბენდს.

— ჟუსტინმა სითამამის გამო შეგაქოთ და განაცხდა, რომ თქვენი შანსები უკეთესად გამოიყენეთ?

— ადრეც მითქვამს, რომ საკუთარი შანსების მაქსიმალურად აკურატულად გამოყენება ტოპმოთამაშის დამარცხების უმთავრესი პირობაა, თუმც არანაკლებ მნიშვნელოვანი ასეთი შანსების შეგრძნება და მათი შექმნაა. გამოყენება უკვე მერე მოდის. მე კი კარგად ვიცოდი, რომ ჩემი შანსი არა გრძელ გათამაშებებში, არამედ სწრაფ და აგრესიულ თამაშში უნდა მომეძებნა. ბედნიერი ვარ, რომ ამ ტაქტიკამ გაამართლა.

— განაცხადეთ, ნიუ იორკი ჩემი საყვარელი ქალაქიაო. რატომ?

— როცა აქ პირველად ჩამოვედი, 10-11 წლის ვიყავი. მაშინ ამ ქალაქს ვერაფერი გავუგე და არც მომეწონა. მაგრამ თანდათანობით შევეჩვიე აქ ცხოვრებას და ახლა მხიბლავს მისი მრავალფეროვნება. ტაქსით ყოველ ათი წუთის სავალზე სხვა გარემოში, სხვა კულტურაში ამოყოფ თავს. ეს გასაოცარია. თანაც სხვებისგან განსხვავებით, სულაც არ მივიჩნევ ნიუ იორკს საგიჟეთად. მიყვარს აქტიური ცხოვრება, ყოველ წუთს რაღაც ახალი რომ ხდება. წყნარი ცხოვრებისთვის ნაღდად არ ვარ გაჩენილი.

— ამერიკულ კერპად იქეცით. ამერიკულად ლაპარაკობთ, ნახევარი ცხოვრება აქ გაქვთ გატარებული.

— არ ვიცოდი ამერიკულად თუ ვლაპარაკობდი. აქამდე მეგონა, რომ ეგეთი ენა არ არსებობდა.

— მოქალაქეობის შეცვლაზე არ გიფიქრიათ?

— არა, არასოდეს. ამერიკაში მხოლოდ ჩოგბურთის, კარიერის გამო ჩამოვედი. ახლაც აქ ვცხოვრობ და ვვარჯიშობ. აქაურ ცხოვრების სტილსაც შევეჩვიე, მაგრამ მოქალაქეობის შეცვლას მაინც არ ვგეგმავ.

— ოცნებობდით ამ გამარჯვებაზე?

— არა, კარგი მეოცნებე არ ვარ. თუმც გამარჯვება ძალიან მინდოდა.

— მიაღწიეთ უკვე იმ დონეს, როცა მოგებულ 1 700 000-ს (1,2 აშშ-ს ღია პირველობის მოგებისთვის და 500 000 პრემიალურის სახით ზაფხულის განმავლობაში აშშ-ს კორტებზე წარმატებული გამოსვლისთვის) დიდი მნიშვნელობა არ აქვს?

— ეს ხომ მარტო ფულის გამო არ ყოფილა. სლემტურნირის მოგება სხვა რამეა. ამას ხომ ვერანაირი ფულით ვერ იყიდი. რამდენი მილიარდელია დედამიწაზე? ძალიან მაგრადაც რომ უნდოდეთ, მაინც ვერც ერთი მათგანი ვერ იყიდის. უბრალოდ, შეუძლიათ, რომ კარგი ეკიპირება შეიძინონ და საუკეთესო მწვრთნელები დაიქირავონ, მაგრამ მაინც მონური შრომა მოუწევთ ამ პრიზის მოსაგებად. ასე რომ, მარტო ფულზე ნუ დაიყვანთ ამ გამარჯვებას.

— გამარჯვების აღსანიშნავად ზეიმის მოწყობას აპირებთ?

— აუცილებლად, ოღონდ აქედან გავაღწიო.

— ვისთან ერთად იზეიმებთ?

— ამის შესახებ თქვენ ყველაზე ბოლოს გეტყვით.

— იმდენად ემოციური იყავით, რომ ჯილდოს თავიც კი მოაძრეთ...

— ეს რომ მოხდა, მაშინვე გავიფიქრე — „აი, მარიას ტიპიური საქციელი". ვიცოდი, რომ რაღაც ამნაირი, ხიფათის მაგვარი რამ უნდა მომხდარიყო.

კოკაი ოძეკებს დაეჩრია
შემდეგი სეკივაკეა

იოკოძუნა ასასიორუსთან მარცხის შემდეგ ქართველმა კოკაიმ ზედიზედ მეორე ოძეკი წააქცია. კომუსუბის ტიტულოსანი ქართველისგან თავისზე რანგით მაღალი ვეტერანი კაიოს ძლევა თუ ბევრს არ გაჰკვირვებია, გუშინ მისგან ტიოტაიკაის წაქცევას მართლა ნაკლებად ელოდნენ. ოძეკის, რომელსაც სექტემბრის ბაშოზე ჯერ ფეხი არ დასცდენოდა, ლევან ცაგურიასთან პირად შეხვედრებში დაგროვილი გვარიანი დადებითი ბალანსიც უმაგრებდა ზურგს, მაგრამ ამ ორმა უპირატესობამაც ვერ უშველა.

„შავმა ზღვამ“ „მარადიულობის ოკეანეს“ საფირმო ცუპარებით — კორპუსში ხელის კვრით სწრაფადვე მოუმთავრა საქმე და დადებითი ბალანსიც მოიპოვა. სამი ტურის შემდეგ ორქულიანი ქართველი დაუმარცხებელთა სექსტეტს უდგას კვალში.

იმპერატორის თასისკენ წაუქცევლად მიიწევენ ბალკანელი გულივერი კოტოოსიუ, რიგითი მაეგაშირები — ამა და ხომასიო, ოსი ძმები ბორაძოვები — როხო და ხაკუროზანი და, რაღა თქმა უნდა, ასასიორუ. ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნას მესამე ლუკმა დასავლეთის მესამე მაეგაშირა ამინისიკი გახდა.

კოკაის მსგავსად, მეორე ქულა მიითვალა ოძეკი ხაკუხომ. 21 წლის მონღოლი ჯერჯერობით ვაჟკაცურად ინარჩუნებს ცუნატორის — იოკოძუნობის კანდიდატის არაოფიციალურ სტატუსს. მიზნის მიაღწევად მას დარჩენილ თორმეტ ტურში სულ მცირე თერთმეტი მოგება სჭირდება.

დღეს მეოთხე ტურია. კოკაი ისევ თავისზე მაღალრეიტინგიანს, სეკივაკე მიაბიამას დაეჭიდება. ასასიორუ — ექსოძეკი დეძიმას, ხაკუხო კი — რიგით მაეგაშირა ტოკიტენკუს.

ოთარ მაღლაკელიძე

ჭანტურია ჩემპიონთა მარაძეში

წარმატებით დაძლია სახელბურთო ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპი სკოპიეს „მეტალურგმა“, რომლის შემადგენლობაში ჩვენი თანამემამულე რევაზ ჭანტურიაც თამაშობს.

მაკედონიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა პორტუგალიის „ბრაგას“ საპასუხო მატჩიც მოუგო — 32:27. შეგახსენებთ, პირველი შეხვედრა სკოპიეში მასპინძელთა არცთუ მყარი გამარჯვებით დასრულდა — 30:28, ბრაგაში კი მაკედონიელებმა უფრო დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს, თუმც დაბალი პირველი ტაიმის (14:13) შემდეგ, მეორეშიც ბრძოლა კარგა ხანს ბურთიბურთში მიდიოდა.

24 წლის ქართველმა მარჯვენა ფრთამ მთელი მატჩი შეუცვლელად კი ჩაატარა, თუმც ამჯერად მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო (პირველ შეხვედრაში — ხუთის).

ამრიგად, ჩვენდა სასიხარულოდაც, „მეტალურგი“ პირველივე ცდით გავიდა ჩემპიონთა ლიგის ძირითად ტურნირში.

ფოტო: ალექსანდრე ბერიძე

მოულოდნელად, „ბრაგასთან“ მეორე მატჩის წინ პოსტი დატოვა სკოპიელთა მთავარმა მწვრთნელმა ივიცა ცვეტკოვიჩმა, რომელსაც სერბეთის ნაკრების წინამძღოლობას სთავაზობენ. ცვეტკოვიჩის ადგილს ალბათ მაკედონიური ხელბურთის ლეგენდა პეპი მანასკოვი დაიკავებს.

რაც შეეხება ლიგის ჯგუფურ ტურნირს, „მეტალურგს“ მეტად ძლიერი მეტოქეები ჰყავს — გერმანიის „ფლენსბურგ-ჰანდევიტი“, ხორვატიის „ზაგრები“ და რუსული „ჩეხოვსკიე მედვედი“.

აღსანიშნავია, რომ რვა ჯგუფში განაწილებული 32 გუნდიდან ოთხი ესპანეთისაა, სამი — გერმანიის, ორ-ორი კლუბით არიან წარმოდგენილი საფრანგეთი, უნგრეთი, დანია და სლოვენია.

ჯგუფებში თამაშები 30 სექტემბერს დაიწყება — ჭანტურიას გუნდი ჩეხოვში რუს დათვებს შეეჭიდება.

გია ახალაძე

AFP

პაუნდს ჯონსის არ სჯერა

დოპინგის მიღებისთვის ერთხელ უკვე სასჯელმოხდილი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მერიონ ჯონსი ამ ზაფხულს ამერიკის ჩემპიონატში 100 მეტრზე რბენაში გამარჯვების მერე კვლავ სტიმულატორის გამოყენებაში რომ ამხილეს, შეიცხადა, რის დოპინგი, რა სტიმულატორი, წარმოდგენა არ მაქვს, მისი კვალი ჩემს სისხლში საიდან აღმოჩნდაო. მაშინ მერიონის ანალიზში აკრძალული პრეპარატის ერიტროპოეტინის კვალი A ტესტის აღებისას აღმოჩნდა, განმეორებითმა ანალიზმა კი ჯონსის გულწრფელობა დაადასტურა. ოღონდ ეს არ სჯერა მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) კანადელ მეთაურ დიკ პაუნდს, რომელსაც წესიერი და პატიოსანი კაცის სახელი აქვს დაგდებული. ჰოდა, დიკ პაუნდს და მის სამწყსოს განმეორებითი ანალიზის პასუხი მეტად აეჭვებთ.

„ვადას სპეციალისტები აპირებენ, ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი და შეამოწმონ, როგორ მოხდა, რომ ანალიზების პასუხები სხვადასხვაგვარი გამოვიდა — ამბობს პაუნდი — თუ გაირკვევა, რომ B ანალიზი მაინც უარყოფითია, ჩვენ ყველაზე მკაცრ სანქციებს მივმართავთ“.

კაპიროსი როსის ვერ დაეწია

გულსატკენად გამორჩეული გამოდგა მოტომრბოლთა ჩემპიონატის მე-13, მალაიზიური ეტაპი. კუალა ლუმპურს იმ დღეებში ტროპიკული თავსხმა დაატყდა და „სეპანგი“ ისე დაიტბორა, რომ ორგანიზატორებმა საკვალიფიკაციო გაჯიბრება გააუქმეს.

შედეგად, სასტარტო პოზიციები პოულამდელი თავისუფალი პრაქტიკის შედეგებით განისაზღვრა. „სამეფო კლასში“ ბრძოლა ყველაზე წინ იტალიელმა ვალენტინო როსიმ დაიწყო და თითქმის მოგვარე თანამემამულე ლორის კაპიროსის უმწვავესი წინააღმდეგობის მიუხედავად, შეძლო წლეულს მეხუთე დიდი პრიზის დასაკუთრება. გასაკვირია, მაგრამ ფინიშთან მესამე მიიჭრა ესპანელი დანიელ პედროსა, რომლის გაჯირითებაც მეტად სათუო იყო, რადგან ოფიციალური ვარჯიშისას „ჰონდადან“ გადმოვარდა და ფეხები ისე დაიშავა, რომ მარჯვენა მუხლზე რამდენიმე ნაკერი დაადეს.

კინაღამ ტრაგედია დატრიალდა 125 კუბურ სანტიმეტრიან მოტოებით გაჯიბრებისას. დასაწყისში, უკვე მესამე წრეზე, წაიქცა იტალიელი მატია პასინი. ტრასაზე დაგდებულ მის „აპრილიას“ გვერდი ვერ აუარა და ისე მიეტაკა თანამემამულე ანდრეა იანონე, რომ ორმოციოდე მეტრი იფრინა და ტრეკზე გაიშხლართა. რბოლა ოცი წუთით შეწყდა, განახლების შემდეგ კი ლამის უკვე ტიტულგანაღდებულმა ესპანელმა ალვარო ბატისტამ იზეიმა გამარჯვება.

მომდევნო ეტაპი კვირას ავსტრალიაში გაიმართება.

გია ახალაძე



AFP

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ მზია ზავრაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

61-ე ვუელტა 26 აგვისტო–17 სექტემბერი

ალექსანდრ და ალეხანდრო

AFP

ალექსანდრ ვინოკუროვი ალეხანდრო ვალვერდეს ვერ გაექცა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ 61-ე „ვუელტა ესპანას“ მონაწილეებს გუშინ ურთულესი სამთო ეტაპი ჰქონდათ. 145 კილომეტრიან გზაზე ორი პირველი კატეგორიის უღელტეხილი იყო გადასალახი, ხოლო ბოლოს კოშმარული ოცკილომეტრიანი აღმართი ზღვის დონიდან 2090 მეტრზე მდებარე დე კალარ ალტოს ობსერვატორიამდე.

წინა, ანუ დასვენების დღეს დიადმა ესპანელმა, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის მომგებმა მიგელ ინდურაინმა პრესასთან საუბარში განაცხადა, ჩემი ბასკი თანამემამულე ალეხანდრო ვალვერდე ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია და ერთადერთი მრბოლი, ვისაც ძალუძს მისთვის კონკურენციის გაწევა, ყაზახური „ასტანას“ ლიდერი ალექსანდრე ვინოკუროვიაო.

ლეგენდარული ბასკის სიტყვების სიმართლე ობსერვატორიისკენ მიმავალ აღმართებში დადასტურდა — ვინოკუროვი ერთადერთი იყო საერთო ჩათვლის ლიდერთა ჯგუფიდან, ვინც შეტევებს ცდილობდა, მაგრამ ვალვერდემ თავისი ყაზახრუსი სეხნიის ყველა იერიში დაბლოკა და გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობა განიმტკიცა.

ციცაბო აღმართებისა და არანაკლებ საშიში დაღმართების გარდა გუშინ პელოტონის წინააღმდეგ ანდალუზიური ამინდიც იყო — თითქმის მთელი გზა წვიმდა, ხოლო ბოლო აღმართისას, საერთოდ კოკისპირულად დასცხო და ასეთ პირობებში ფინიშამდე მიღწევაც კი დიდი ვაჟკაცობა იყო.

ვალვერდეს „ილეს ბალეარსი“ კვლავაც სინქრონულად მუშაობდა და მხედველობიდან არ უშვებდა ვინოკუროვსა და კარლოს სასტრეს. თანაგუნდელებმა თავიანთი ლიდერი ბოლო აღმართამდე ციმ-ციმ ატარეს და დანარჩენი, უკვე თავად ვალვერდემ იცოდა. ვინოკუროვის თანაგუნდელი, საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფი ანდრეი კაშეჩკინი სადღაც, ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე ჩამორჩა და კიდევ უფრო ადრე მეხუთე ადგილზე მყოფ ესპანელს ხოსე ანხელ გომეს მარჩანტეს გაუთავდა საწვავი.

ამასობაში ვინოკუროვის კიდევ ერთმა თანაგუნდელმა ხოსე ანტონიო რედონდომ სცადა გაქცევა და თავად „ვინომ“ კი ორ-სამჯერ იერიში წამოიწყო, მაგრამ ვალვერდეს მაინც ვერ გაექცა და ერთი პირობა, თითქოს ჩამორჩენილმა სასტრემაც მოახერხა ალექსანდრ-ალეხანდროს კუდზე დაჯდომა. ამ ჯგუფს „დისქოვერისა“ და „ეუსკალტელის“ რამდენიმე მრბოლიც შეუერთდა და ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე წინ კიდევ ერთი ბასკი, 23 წლის იგორ ანტონი გაიჭრა. ფავორიტებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ — ვალვერდეს, ვინოკუროვსა და სასტრეს შორის ტაქტიკური ბრძოლა გაჩაღდა. ალეხანდრო შეტევაზე გადასვლას აშკარად არ აპირებდა, ხოლო სასტრესა და ვინოკუროვს ამის ძალა აღარ ჰქონდათ. ბოლო ასეულ მეტრებზე, როცა უკვე მწვერვალს უწიეს, ვალვერდემ მაინც ჩართო დამატებითი სიჩქარე, კონკურენტებს საბონიფიკაციო წამები მოუგო და ოქროსფერ მაისურას მეტი სიმყარე შესძინა.

ეტაპი ანტონმა მოიგო და თავის, ჯერაც ხანმოკლე კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ვალვერდე უახლოეს მდევრებს, უკვე წუთსა და 42 წამს უგებს. მდევრები კი ვინოკუროვი და სასტრე არიან. კაშეჩკინი ორ წუთზე მეტით ჩამორჩა და ისეთი პირი უჩანს, ვეღარც სასტრე გაძლებს დიდხანს — ხუმრობა ხომ არ არის, CSC-ის მრბოლმა წელს „ჯიროზეც“ იასპარეზა, „ტურზეც“ და „ვუელტაზეც“ ბოლომდე იხარჯება.

დღეს და ხვალ კიდევ ორი სამთო ეტაპია, ხოლო შაბათს ინდივიდუალური რბოლა იქნება, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ დიად მიგელ ინდურაინს თავისი სიტყვების უკან წაღება არ მოუხდება — ალეხანდრო ვალვერდეს ალექსანდრ ვინოკუროვი თუ გაუწევს კონკურენციას.

AFP

იგორ ანტონი

მე-16 ეტაპი. 12 სექტემბერი.
ალმერია — დე კალარ ალტოს ობსერვატორია. 145კმ

1. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელი)	4სთ 29წთ 42წმ
2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+23წმ
3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა)	+23წმ
4. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელი)	+23წმ
5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+28წმ

საერთო ჩათვლა

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	63სთ 18წთ 16წმ
2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა)	+1წთ 42წმ
3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+1წთ 42წმ
4. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+2წთ 05წმ
5. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+4წთ 23წმ

ზია მუჯირი



AFP

მე კეთილი კაცი ვარ!

ლენდისი არ ცხრება

2006 წლის ტურ დე ფრანსის მომგები, მაგრამ შემდეგ დოპინგის ხმარებაში მხილებული და ტიტულჩამორთმეული ფლოიდ ლენდისი ფარ-ხმალს არ ყრის და როგორც თავად ამბობს, „კეთილი სახელის“ აღდგენას ცდილობს.

ლენდისს ტურის მსვლელობისას ჩაუტარდა დოპინგ-ტესტი და სისხლში მამაკაცური ჰორმონის, ტესტოსტერონის მოჭარბებული რაოდენობა აღმოაჩნდა, რასაც დღევანდელ სპორტულ მედიცინაში ყოველგვარი დავა-კამათის გარეშე ენიჭება დოპინგის კვალიფიკაცია. ლენდისი რომ სუფთა არ იყო სპორტულ პრინციპებთან და ანაბოლიკებს ხმარობდა, ეს B ანუ საბოლოო ტესტმაც დაადასტურა, ამასთან ლენდისს ორგანიზმში ტესტოსტერონის ოთხი სახესხვაობიდან 3 აღმოაჩნდა. ასე რომ, მის ცუღლუტობაში დაეჭვება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

მაგრამ ლენდისი არ ცხრება. ორშაბათს მან ანტისადოპინგო საგენტოს სააპელაციო კომიტეტს მიმართა და დოპინგ-ტესტების შედეგების გადახედვა მოითხოვა. ჩანს, მას კიდევ აქვს ბრალდებათა მოხსნის იმედი. ლენდისი კონკრეტულად არაფერს ამბობს, მაგალითად, ასე არ ცდილობს თავის მართლებას, გაციებული ვიყავი, წამალი დავლიე, რომელიც თურმე აკრძალულ ნივთიერებას შეიცავდა და არცოდნას ცოდვაში ნუ ჩამითვლითო. ასე იქცევა დოპინგზე ჩავარდნილ სპორტსმენთა დიდი ნაწილი. ლენდისი კი ამბობს: „საერთოდ არ მიმიღია არც ტესტოსტერონი და არც სხვა რამ სუბსტანცია. მჯერა, რომ თანამედროვე მეცნიერებას ჩემი სრული უდანაშაულობის დამტკიცება შეუძლია.“

კეთილი, ოღონდ მტკიცებულება და ფაქტი ჯერ მხოლოდ ერთ რამეზე არსებობს — ამერიკელი ველომრბოლი ორივე ტესტის შედეგების მიხედვით დამნაშავეა, ხოლო მეცნიერება მომავალში ლენდისის სასარგებლოდ რამეს დაამტკიცებს თუ არა, ეს არავინ იცის.

ლენდისის დოპინგზე ჩავარდნამ 10-ბალიანი მიწისძვრის დამანგრეველი შედეგები მოუტანა ველომრბოლსაც და მის გარშემო მყოფებსაც. თავად ხომ ჩამოართვეს ველოსპორტში უპრესტიჟულესი ტურის ჩემპიონის ტიტული და მეორე ადგილზე გასულ ესპანელ ოსკარ პერეირო სიოს გადასცეს. გარდა ამისა, ტესტის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ მკვდარი იპოვეს მისი სიმამრი. პოლიციის ცნობით, მან თავი მოიკლა, ხოლო ველოსამყაროში ჩახედული ხალხის ცნობით, ასე იმიტომ მოიქცა, რომ ლენდისის აკრძალული პრეპარატებით მამაძაღლობაში მისი ხელიც ერია. სკანდალმა იმსხვერპლა ლენდისის გუნდი „ფონაკიც“, რომელიც ახლა ამბიციური გუნდის ლანდიღაა, მალე კი ესეც აღარ იქნება — წლის ბოლოს ოფიციალურად დაიშლება.

კოტე ყორშია

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. I ტური

A ჯგუფი

ბარსელონა 5:0 ლევსკი

1:0 ინიესტა (7), 2:0 ჟიული (39), 3:0 პუიოლი (49), 4:0 ეტოო (58), 5:0 რონალდინიო (90)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ტურამი (ოლეგერი 80), ვან ბრონკჰორსტი, ჟიული (გუდიონსენი 63), მოტა, დეკუ, ინიესტა (ხავი 72), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

ლევსკი: გ. პეტკოვი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ს. ანგელოვი, ბორიმიროვი (მინევი 62), ტელკისკი, ბარდონი, ერომოიგბე, იოვოვი (მ. ივანოვი 70), ე. ანგელოვი (გ. ივანოვი 46)

მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი

გაფრთხილება: გ. ივანოვი, მილანოვი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

91 326 მაყურებელი

ჩელსი 2:0 ვერდერი

1:0 ესიენი (24), 2:0 ბალაკი (68პ)

ჩელსი: პ. ჩეხი, ბულარუზი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ბალაკი (მიკელი 90), ლამპარდი, შევჩენკო (ჯ. კოული 81), დროგბა (ს. კალუ 86)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ვერდერი: რაინჯე, ფრიცი, პასანენი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ბაუმანი (ზიდანი 86), ბოროვსკი, დიეგო, კლოზე, კლასნიჩი (უგო ალმეიდა 66)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ტერი, ბაუმანი, დროგბა, ლამპარდი, ჯ. კოული

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

32 135 მაყურებელი

B ჯგუფი

სპორტინგი 1:0 ინტერი

1:0 კანეირა (64)

სპორტინგი: რიკარდუ, აბელი, ტონელი, ანდერსონ პოლგა, მ. კანეირა, ნანი (ტელო 83), ველოზო, რომანიოლი (ბარბოსა 66), მუტინიუ, დიალო, ლიდსონი

მწვრთნელი: პაულუ ბენტუ

ინტერი: ტოლდო, მაიკონი, კორდობა, სამუელი, გროსო (ძანეტი 80), ფიგუ (მარიანო გონსალესი 66), ვიეირა, დაკური, სტანკოვიჩი, ადრიანო (კრესპო 71), იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ლიდსონი, მუტინიუ, კორდობა, ტოლდო, ვიეირა, ვიეირა

გაძევება: ვიეირა (69)

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

40 000 მაყურებელი

ბაიერნი 4:0 სპარტაკი

1:0 პიზარო (48), 2:0 სანტა კრუზი (52), 3:0 შვაინშტაიგერი (71), 4:0 სალიჰამიჯიჩი (84)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სანტა კრუზი (ქარიმი 81), ჰარგრივსი, ვან ბომელი (შოლი 74), შვაინშტაიგერი, კ. პიზარო (სალიჰამიჯიჩი 70), პოდოლსკი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

სპარტაკი: კოვალევსკი, ჟირანეკი (შიშკინი 31), ჟედერი, შტრანცლი, კ. როდრიგესი, ბისტროვი, რ. კოვაჩი (ბაჟენოვი 61), მოცარტი, კოვალჩუკი (ტორბინსკი 77), ტიტოვი, პავლიუჩენკო

მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი

გაფრთხილება: ბისტროვი, ლუსიო

მსაჯი: ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

66 000 მაყურებელი

C ჯგუფი

პსვ ეინდჰოვენი 0:0 ლივერპული

პსვ ეინდჰოვენი: გომეში, კრომკამპი, ალექსი, რაიციგერი, სალსიდო, სიმონსი, ე. მენდესი, აფელაი (ვაირინენი 74), კულინა (აისატი 63), ფარფანი, ა. კონე

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, ფ. აურელიო (მარკ გონსალესი 82), უორნოკი, სისოკო (ხაბი ალონსო 62), პენანტი, ზენდენი, ბელამი (ჯერარდი 72), კუიტი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

35 000 მაყურებელი

გალათასარაი 0:0 ბორდო

გალათასარაი: მონდრაგონი, სარიოღლუ, რ. სონგი, ტომაში, ფერჰატი, ჰასან შაში (ჯიჰანი 76), ინამოტო, ს. ილიჩი (მეჰმეთი 76), ტურანი, უმით კარანი (ჰასან კაბზე 61), ნეჯატი ატეში

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ბორდო: რამე, ჟურიეტი, ჟემალი, პლანუსი, მარანჟე, ფობერი, დუკასე, მიკუ, ვენდელი, დარშევილი (ლასლანდი 85), შამახი (ე. პერეა 85)

მწვრთნელი: რიკარდო გომეში

გაფრთხილება: დუკასე

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

45 514 მაყურებელი

D ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 2:4 ვალენსია

1:0 კონსტანტინუ (28), 1:1, 1:2 მორიენტესი (33, 39), 2:2 კასტილიო (66), 2:3 ალბიოლი (86), 2:4 მორიენტესი (90)

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ჟევლაკოვი (პანტოსი 48), ანატოლაკისი (ჟულიო სეზარი 69), უადუ, დომი, კაფესი, სტოლტიდისი, რივალდო, კასტილიო, კონსტანტინუ, ჯორჯევიჩი

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, ალბიოლი, მორეტი, ანგულო, ედუ, მარჩენა, გავილანი (სილვა 72), მორიენტესი (ხორხე ლოპესი 90), ვილია (რეგეირო 81)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

გაფრთხილება: უადუ, ედუ, აიალა

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

რომა 4:0 შახტარი

1:0 ტადეი (66), 2:0 ტოტი (76), 3:0 დე როსი (79), 4:0 პიზარო (88)

რომა: დონი, პანუჩი, ფერარი, კივუ, ტონეტო, ტადეი, დე როსი, პეროტა, აკილანი (დ. პიზარო 63), მასსინი (კასეტი 87), ტოტი (მონტელა 80)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

შახტარი: შუტკოვი, სრნა, ჰუბშმანი, ლევანდოვსკი, რაცი, მატუზალემი (გაი 72; უადსონი 81), მარიკა, ტიმოშჩუკი, ელანო, დულიაი, ბრანდაო (აგაჰოვა 63)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: მარიკა, ტიმოშჩუკი, აკილანი, ჰუბშმანი

მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

40 000 მაყურებელი

„რომას" გოლების ავტორთა ჯგუფი: ფრანჩესკო ტოტი და დანიელე დე როსი

AFP რომიდან

ჰეთთრიქოსანი ფერნანდო მორიენტესი

AFP პირველიდან

ღამურა მორო ბერძნებს თმებში ჩააფრინდა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დაიწყო და პირველ დღეს 22 გოლიც გავიდა. თანაც ეს მხოლოდ 6 მატჩში, რადგან C ჯგუფის ორივე შეხვედრამ უღიმღამოდ და უგოლოდ ჩაიარა.

პირველი სენსაცია ლისაბონში გამოცხვა. „სპორტინგმა" დიდ გულზე მყოფი „ინტერი" ყოფილი ვალენსიელის, მარკო კანეირას გოლით დაცხრო და გემრიელი სამი ქულა მიითვალა. „ნეროაძურიმ" ბევრი კი იფაფხურა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ის კი არა, 70-ე წუთზე მინდვრიდან მეორე ყვითელი ბარათის გამო პატრიკ ვიეირა გაადგეს და რობერტო მანჩინის შეგირდებმა მატჩი 10 კაცით ჩაამთავრეს.

ამავე ჯგუფში მიუნხენის „ბაიერნმა" მოსკოვის „სპარტაკს" ოთხი გოლი უთავაზა. გერმანელებმა რუსების კარს გასაღები მეორე ტაიმში მოარგეს.

„ბაიერნის" დარად, მეორე ნახევარში ოთხი უპასუხო გოლი შეაგდო „რომამაც", რომელსაც პირველ ტაიმში გაუმართლა — „შახტარმა" რამდენიმე მომენტი გაანიავა. D ჯგუფის მეორე წყვილში კი 6 ბურთი გავიდა. „ოლიმპიაკოსმა" ორჯერ გაუთანაბრა „ვალენსიას", მაგრამ „ღამურებმა" საბოლოოდ მინც გატეხეს ბერძნები და 4:2 იმარჯვეს. 3 გოლი ფერნანდო მორიენტესმა შეაგდო.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტრიუმფატორმა „ბარსელონამ" სოფიის „ლევსკის" 5:0 აწვნია. ლონდონის „ჩელსიმ" კი უფრო მოკრძალებულად დაიწყო. ჟოზე მაურინიუს შეგირდებმა პირველი გოლი „ვერდერის" დაცვის უხეში შეცდომის წყალობით შეაგდეს. სტუმართა ლიდერ მიროსლავ კლოზეს ორი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ერთი თავური კარს გადააცილა, მეორე კი ხარიხას გაარტყა. „ჩელსიმ" მატჩის ბედი 68-ე წუთზე გადაწყვიტა, როცა კიროს ვასარასმა სათუო და სათუმცაო პენალტი დანიშნა და მიხაელ ბალაკმა მართლაც აუღებელი დარტყმით შეჭედა ბურთი ბადეში. ლამპარდის ძელს და დროგბას გაცუდებულ შანსს თუ არ ჩავთვლით, მეტი ამ შეხვედრაში საინტერესო არაფერი ყოფილა.

გიორგი კაკაბაძე



მიკაელ ესიენმა „ვერდერი" უგოლოდ არ გაუშვა

AFP ლონდონიდან

ჟიულიმ და „ბარსელონამ" „ლევსკი" გააცოდავეს

AFP ბარსელონიდან

სარგებელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge